F 26/1866
3

# ГРУЗИНСКІЙ ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1866.

ЯНВАРЬ.

# საქართველოს

სასულიერო მახარებელი.

იანვარი.

ჩყჲვ ა.

ТИФЛИСЪ.

Въ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА и Ко.

# ПОДПИСКА

НА

# „ГРУЗ. ДУХ. ВѢСТНИКЪ“

продолжается и принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. языкѣ, для особо подписывающихся, 1 р. с. По той-же цѣнѣ можно получать остающіеся экземпляры журнала за *первый* ($18^{64}/_{65}$) годъ.

Независимо отъ журнала продаются: ‘‘Общепонятное изложеніе догматическаго ученія Православной вѣры,, и ‘‘Жизнь Пресв. Богородицы,,—на груз. яз.—по 40 к. с. экземпляръ, съ пересылкою и безъ нея.

---

ხელის-მოწერა ჟურნალზედ მიიღება ტიფილისის ხემინარიაში, რედაკტორის სახელზედ. ფასი წლის ჟურნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხჳა ქჳეყნებში გაგზავნით ხუთი მანეთი; მიუტანელად და გაუგზავნელად ოთხი მან. მარტო რუსულისათჳს ერთი მანეთი. ამავე ფასათ შეიძლება გამოწერა დანაშთენის ეგზემპლიარების წარსრული წლის ჟურნალისა.

ცალკე იყიდება: ‘‘ადვილ-სასმენელად გამოხატჳა მართლ-მადიდებელის სარწმუნოების დოღმატიკურისა სწავლისა,, და ‘‘ცხოვრება ყოვლად-წმიდისა ღჳთის-მშობლისა,,—ორ აბაზათ თჳთო ეგზემპლიარი, გაგზავნით და გაუგზავნელად.

---

# ც ხ ო ვ რ ე ბ ა

## ღირსისა დედისა ჩჳჱნისა და მოციქულთა-სწორისა

# ნ ი ნ ა

## ქართჳჱლთ განმანათლებელისა.

გამოცემული ,,საქართჳჱლოს სასულიერო მახარებე-
ლის'' რედაქციისაგან.

**Тифлисъ.**

Въ Типографіи Меликова и К-о.

1866.

Дозволено цензурою. 29 января 1866 года.

ფასი ორი შაური.

# წინა-სიტყუაობა.

---

რაჲ არს უძვირფასეს ქრისტეს სარწმუნოებისა? არა რაჲ არცა ცასა და არცა ქჳეყანასა ზედა. ვინ არს უღირს-პატივცემულეს ამა სარწმუნოების მქადაგებელთა და დამნერგველთა კაცთა შორის? არა ვინა არცა მოყჳასთა და არცა მეგობართა შორის.—ხოლო მქადაგებელი და დამნერგველი ჭეშმარიტისა ქრისტეს სარწმუნოებისა საქართჳელოს შინა, შემდგომად ანდრია მოციქულისა, არის ღირსი დედა ჩჳენი, მოციქულთა-სწორი ნინა. ამან განსდევნა ტომთაგან საქართჳელოსათა ბნელი უმეცრებისა და მოგვფინა ნათელი ღჳთის-მეცნიერებისა. თჳნიერ ამისა, იქმნება, ჩჳენ აქამომდე ვყოფილ-ვიყავით იმ მდგომარეობაში, რომელსა შინა იმყოფებიან აწ ზოგიერთნი მეზობელნი ჩჳენნი—მკვიდრნი კავკასიისა-

ნი, მსხდომარენი ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუ-დილისათა. ამისთჳს სამართალი ითხოვს, რომ ყო-ველმან ქართუელმან, წულმან და ქალმან იცოდეს ცხოვრება განმანათლებელისა თჳსისა—წმიდისა ნინასი.

მსურველნი ამისნი, ღუთის-მოყუარენი და კე-თილ-გონიერნი, იმყოფებოდენ თჳთ წმიდა ნინას დროსვე. ესრეთნი იყუნენ კეთილ-მორწმუნენი დედო-ფალნი: სალომე უჯარმოელი და ჭეროჟ ავრისნე-ლი (სუჯუ კახელი), რომელნი ევედრებოდენ წმი-დასა ნინას გულ-მხურვალედ და ეტყოდენ: „ვინაჲ ანუ ვითარ მოხვედ ქუეყანასა ამას მაცხოვრად ჩუენ-და, ანუ სადათმე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალო: მაუწყე ჩუენ საქმე შენი.“

მადლითა ღუთისათა, მსგავსნი ამათნი აღმოს-ჩნდნენ ამ ჩუენს დროსაცა, რომელთა განგვიცხადეს თხოვნა და სურვილი წმ. ნინას ცხოვრების ჟურნალ-ში ჩართვისა, იმ გვარად, რომ ცალკე ქონება და მოპოვებაც შესაძლებელ ყოფილ-იყო მისი, ვისაც სურს და ვისაც ჟურნალი არა აქუს. და ესე აღვასრულეთ

ჩუენ როგორც თხოვნისა‿ებრ მათისა, ეგრეთვე სუ-
რვილისა‿ებრ ჩუენისა და ნამდვილის საჭიროების
დანახვისა საქართუელოს საზოგადოებაში: ცხოვრე-
ბა წმიდისა ნინასი აქამომდე არა ყოფილა დაბეჭდი-
ლი ქართულად ცალკე, რომ ყოველს მკითხველს
შესძლებოდეს შოვნა მისი და კითხვა; მხოლოდ
რუსულად ნათარგმნი უ. დ. ყიფიანისაგან დაიბეჭდა
ტფილისში უგანათლებულესის ვორონცოვის კნეინას
ბრძანებით; და ქართულად არის ჩართული ესე უ.
ჩუბინოვის ქრისტომატიაში (გამოც. I) და ქართ-
ლის ცხოვრებაში; მაგრამ მოპოება ამ წიგნებისა არა
ყველასთჳს შესაძლებელ‿არს სიძვირისა‿გამო მათისა:
პირველი (ე. ი. ქრისტომატია) ისყიდება აქ ოთხ
მანეთად, და მეორე (ქართლის ცხოვრება)—თორ-
მეტ მანეთად; ხოლო ჩუენ‿მიერ გამოცემული ნინას
ცხოვრება, ვრცლად აღბეჭდილი, შეიძლება მოიპო-
ვოს მსურველმა ორ შაურათ.

---

ახლა ვახსენოთ ცოტა რამე ამ ცხოვრების შე-
დგენისა ანუ წარმოებისათჳს. პირველი შემდგენი ამი-

სა, თუმცა სიტყვიერად, როგორც გვაუწყებს მველის-მველი მოთხრობა, არის თჳთ წმიდა ნინო. მან მო-გვითხრა ცხოვრება და გარემოება თჳსი ჟამსა აღსრუ-ლებისა მისისა, და აღწერა მორწმუნემან დედო-ფალმან სალომე უჯარმოელმან, მის ცოლმან მი-რიან მეფისამან, და ასულმან თრდატ სომეხთ მეფი-სამან. მაგრამ აქედამ არა სჩანს თუ რომლის ენით აღწერა—სომხურით თუ ქართულით. რადგან სალო-მე იყო სომხის ქალი, ამისთჳს შეიძლება ვიფიქ-როთ, რომ იმან აღწერა სომხურად; მაგრამ ამ ფი-ქრს სრულიად არღვევს სხჳა გარემოება: ესე იგი—სომხებს იმ დროს ასოები (ანბანი) არა ჰქონიათ, და სხჳა ენით აღწერა უფრო უსაფუძვლოა, ვინაჲდ-გან საქართჳჱლოში იმ დროს ნამდვილად იყო გან-ვრცელებული მწერლობა მხედრულის ხელითა, ფარ-ნაოზ მეფისაგან მოგონებულითა (*), რაჲცა, უეჭ-

(*) იხილე въ Кавказскомъ Календарѣ „Хронологич. показаніе достопримѣч. событій...“ годъ 302 до Р. Х.

ველია, ეცოდინებოდათ სამეფო პირთა და დედოფალთა უმეტეს სხჳათა.

მეორეს მხრით—უეჭველია ისეცა, რომ ახლანდელს ნინას ცხოვრებაში არის ჩამატებული ბევრი სიტყვები და თითქმის გარემოებაც, რომელნი მისი წმიდის პირისაგან არ წარმოითქმოდენ. ესრეთნი არიან, მაგალითებრ, ხმარებულნი მას შინა ლექსნი: „ამათგან იშჳა ღირსი დედა ჩ ჳ ჱ ნ ი ნინო; შესმრწუნდა წ მ ი დ ა ნინო"—და სხჳანი, რომელნი არა შეეფერებიან თავის გარემოების მომთხრობსა. ამისთჳს შემადგენელად ანუ აღმწერელად წმ. ნინას ცხოვრებისა იხსენებიან ეგრეთვე: ქათალიკოსი საქართჳჱლოჲსა დიდი არსენი (X საუკ.) და ბერი ეფრემ მცირე (1116 წ.), რომელთაცა მიანიჭეს ძველს ნინას მოთხრობას სივრცე, სისრულე და ისტორიული წყობილობა.—ხოლო რაჲცა შეეხება წინამდებარესა ამას, ჩჳჱნ-მიერ აღბეჭდილსა ცხოვრებასა, ეს არის გამოკრებილი უ. ბროსეს მიერ აღბეჭდილის ქართლის ცხოვრებისაგან შეუცვალებელად არა-თუ ჭაზრე-

ბისა, არამედ თჳთ სიტყვებისა და შტილისაცა, რათამცა ყოვლითურთ დაცულ-იქმნას პატივ-საცემი სიძველე და ღირსება მისი; და ენაცა ესე არ არის უწესო, მძიმე და გაუგონარი. მხოლოდ ხსენებული ამას შინა სახელი ხალხისა ,,ბრანჯნი‘‘ არის სრულიად გაუგონარი და აუხსნელი ისტორიისა-თჳს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ბრანჯნი იყჳნენ ერთი მცირეთა პალესტინის ხალხთაგანი.

მღჳდელი გიორგი ხელიძე.

# ცხოვრება ღირსისა დედისა ჩუჱნისა და მოციქულ-თა-სწორისა ნინა ქართუჱლთ განმანათლებელისა.

---

ჵ იყო მათ ჟამთა შინა, ოდეს წმიდა გიორგი კაბადუკელი იწამა ქრისტესთჳს, კაბადუკიაჲთ ქალაქით კაცი ვინმე მთა-ვარი, შესაბამი მონა ღუ̂თისა, სახელით ზაბულონ: და ესე წარვი-და ჰრომედ წინაშე მეფისა მაქსიმიანესა, მსახურებად და ნიჭისა მოღებად მისგან: და მათვე დღეთა შინა კაცი ვინმე იყო კოლა-სტრას შინა, და ესხნეს მას ორ შვილ, ძე და ასული. და სახელი ძისა მისისა იობენალი, ხოლო ასულისა მის სოსანა. აღესრულნეს ქმარი და ცოლი იგი, და დარჩეს და-ძმანი ობლად: აღდგეს ჵ წარვიდეს ქალაქად წმიდად იერუსალიმად. იმედ ჰყუჱს იმედი იგი ყოველთა ქრისტიანეთა წმიდაჲ აღდგომაჲ და მიევედრნეს მუნ: ესე ძმაჲ იობენალი მიემთხვა დეკტალარობასა, ხოლო დაჲ იგი მისი სოსანა ჰმსახურებდა ნიაფორსა სარა ბეთლემელსა.

ხოლო ესე ჭაბუკი კაბადუკელი, სახელით ზაბულონ, რომე-ლი ვახსენეთ, მიიწია ჰრომედ, წინაშე მეფისა, და აღდგომილ იყუ-ნეს მას ჟამსა ბრანჯნი ბრძოლად ჰრომთა, ველსა ზედა პატალა-ნისასა. მისცა უფალმან ძალი ზაბულონს, ჭაბუკსა მას კაბადუკელ-სა, და ქმნა წინა-აღდგომაჲ მტერთა მათ უზომოჲ, და იოტნა ბრანჯნი და შეიპყრა მეფე ბრანჯთა, და ყოველნი იგი მთავარნი

მათნი, და მიიყუანა იგინი წინაშე მეფისა. ხოლო მეფემან განა-წესა სიკუდილი მათი: მაშინ იწყეს ტირილად ბრანჯთა მათ, და ევედრებოდეს ზაბულონს. ,,მოგვეც პირველად სჯული შენი, და შეგვიყუანენ ტაძარსა ღუთისა თქუენისასა. მაშინ იყავნ სიკუდილი ჩუენი, რამეთუ შენ-მიერ შეპყრობილ ვართ და შენვე ჰყავ ესე ჩვენ-ზედა, და უბრალო იქმენ სისხლისა ჩუენისაგან, ახოვანო:“ ხოლო ზაბულონ ვითარცა ესმა ესე, მწრაფლ მივიდა იდუმალ პა-ტრიაქისა, ფარულად მეფისა, აუწყა ყოველი: ხოლო პატრიაქმან მისცა ნათელი ხელსა ქუეშე ზაბულონისსა, და შეიყუანეს ტაძარსა ღუთისასა, აზიარნეს საიდუმლოსა ჴორცსა და სისხლსა ქრისტეს-სა და უჩუენნეს დიდებანი იგი მოციქულთანი. და დილეულ ადრე აღდგეს ბრანჯნი იგი და შეჰმოსეს სამოსელი სამკუდრო, განვიდეს ადგილსა მას კაცის საკლავსა სასისხლესა, ლოცუდეს და ჰმადლობ-დეს ღმერთსა ნათლის-ღებისა-თჳს, და იტყოდეს: ,,ჩუენ სიკუ-დილსა შინა უკუდავნი ვართ. რამეთუ ღირს გვყუნა ღმერთმან ესე ვითარსა დიდებასა, მიღებად საგზალსა მას დაულევნელსა, ჴორცსა და სისხლსა ქრისტეს მისა ღვთისა უკუდავისასა, რომელ უმაღლეს არს ყოველთა მთათა, და უქვესკნელეს ყოველთა უფსკრულთა, რო-მელ იგი არს კურთხეულ უკუნისამდე. ხოლო ვაჲ მშობელთა ჩუენთა, ნაყოფთა სიმწარისათა და მკვიდრთა ბნელისათა:“ და ხმობდენ. ,,მოვედინ მეხრმლე და აღხუენ თავნი ჩუენნი ჩვენგან.“

ამას რაჲ იტყოდენ იგინი, ხედვიდა ზაბულონ, აღიძრა გო-ნებითა და სტიროდა მწარედ, რამეთუ ვითარცა ცხოვართა თავნი მათნი კლუად წარიპყრეს, და ვითარცა კრავთა შჳლთა მათთა სწყა-ლობდეს: მაშინ მოწყალე ქმნული ზაბულონ მათ-ზედა შევიდა მე-ფისა და გამოითხოვნა მეფისაგან სამკუდროდ შეკაზმულნი, და მი-მადლნა მეფემან და ჰრქუა: ,,მიმინიჭებია იგინი შენდა, და რაჲცა გნებავს უყავ მათ:“ მაშინ ზაბულონ განუტევნა. ხოლო იგინი ევე-

დრებოდეს ზაბილონს, რათა წარუჴდეს ქვეყანასა მათსა, და მისცეს სჯული ქრისტესი, ნათლის-ღება წყლითა, ყოველსა ერსა მათსა: ხოლო მან ისმინა ვედრებაჲ მათი, და მოითხოვა მღდელი პა-ტრიაქისაგან: და ბრძანება მოიღო სხუათა მიზეზითა რომლი-თამე მეფისაგან, და წავიდა მათ-თანა: და ვითარ მიეახლნეს დღი-სა ერთისა სავალსა, მოვიდა წინა ამბავი, ვითარმედ მეფე ცო-ცხალი მოვალს, და ყოველნი მთავარნი მის-თანა: შეიძრნეს ათნი საერისთონი: სოზამოჲ, სოზაჲ, გაასლაჯაჲ, სონებაგაჲ, სინგირაგაჲ ზაჯაჲ, ზაგაჲ, ზარდაჲ, ზამრაჲ და თმონი, და სამეფოჲ: მიეგებოდეს ესე ყოველნი მდინარესა ზედა დიდსა და ღრმასა. დააყენა მეფე-მან ერი იგი წყალსა იმიერ და ამიერ და აკურთხეს წყალი იგი, და შთასხდა ყოველი იგი ერი, და განიბანნეს, და აღმოსხდეს აღმოსავალსა ერთსა, და დასდებდა მღდელი ყოველსა-მას ერსა ხელსა, და იყო მუნ ათ-დღე, და აზიარნა საიდუმლოსა ქრისტესსა ერი ყოველი, დაუტევნა მღდელნი, განუწესა წესი ყოველი: და ამისსა შემდგომად მისცა მშვიდობა ყოველთა და წარვიდა ნიჭითა დიდითა ჰრომედ, და განიზრახა გონებასა თჳსსა: „წარვიდე იერუსალიმად, და ვმსახურო ნიჭი ესე ჩემი ადგილთა ღმრთისათა:“ წარვიდა ზაბულონ, და გა-ნუყო ყოველი იგი მონაგები გლახაკთა: და პირველ სხენებული იგი დეკტალარი პატრიაქ ქმნულ იყო, და ფრიად დაემეგობრნეს ურთი-ერთსა ზაბულონ და პატრიაქი: ჰრქუა სარა ნიაფორმან პატრიაქსა: „ესე ზაბულონ მამაჲ და ემბაზი ბრანჯთა, კაცი სრული ღმრთის-მოშიშებითა და სიბრძნითა. მიეც უკუე დაჲ შენი სოსანა ცოლად მისსა:“ და სთნდა წმიდასა პატრიარქსა, და მისცა სოსანა ცოლად, და წარვიდა თჳსად ქალაქად კოლასტრად: ესე წმიდაჲ ნინო, მოძ-ღუარი ქართლისა, მათგან იშუა ოდენ მხოლოდ, თჳნიერ სხჳსა შვილისა, და აღზარდა დედამან მისმან სოსანა მსახურებასა შინა გლახაკთასა: და ვითარ იქმნა ნინო ათ-ორ-მეტისა წლისა, მშო-

ჴელთა მისთა განუყიდეს ყოველი მონაგები მათი, და წარვიდეს იერუსალიმად.

მაშინ ზაბულონ დაიწერა ჯუარი პატრიარქისაგან და იკმნა ცოლისაგან მისისა, შეიტკბო მკერდსა თჳსსა ასული თჳსი წმიდაჲ ნინო, და დაღუარნა ვითარცა წყარონი ცრემლნი თუალთაგან პირსა მისსა და ჰრქუა. „შენ მხოლო ასულო ჩემო, ესერა დაგიტეობ ობლად ჩემგან, და მიგითუალავ შენ მამასა ზეცათასა, ყოველთა მზრდელსა ღმერთსა, რამეთუ იგი არს მამა ობოლთა და მსაჯული ქურივთა. და ნუგეშინის შენ შვილო ჩემო: შენ ხოლო მარიამ მაგდალინელისა შური აღიღე ქრისტეს სიყუარულისათჳს, და დათა მათ ლაზარესთა. და თუ ეგრეთ შეიყუარო იგი ვითარცა მათ, მან ეგრეთვე მოგცეს შენ ყოველივე რაჲცა სთხოვო.“ დაუტევა ამბორის-ყოფაჲ საუკუნოჲ და წარვიდა წიაღ იორდანესა, კაცთა მათთანა ველურთა, სადა ყოფაჲ მისი უწყის ყოვლისა დამბადებელმან ღმერთმან: ხოლო დედა მისი მისცა პატრიარქმან მსახურებად გლახაკთა დედათა: და წმიდა ნინო მსახურებდა ნიაფორსა, სომეხსა დვინელსა, ორ წელ, და ჰკითხვიდა ყოვლად ვნებათა მათ ქრისტესთა, ჯუარ-ცმისა, დაფლვისა და აღდგომისა ძალსა, და სამოსლისა მისისა, ტილოთა და სუდარისასა, მიწყებით ყოველსა: რამეთუ არავინ ყოფილ იყო, და არცა იყო შორის იერუსალიმსა სწორ მისსა მეცნიერებითა სჯულისა, ძველსა და ახალსა ყოველსავე ზედა-მიწევნით: ხოლო იწყო მან უწყებად მისსა და ჰრქუა: „ვხედავ, შვილო ჩემო, ძალსა ლომისა ძუისასა, რომელი იზახებნ ყოველთა ზედა ოთხ-ფერხთა, გინა ვითარცა არწივი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერთასა უფროს მამლისა, და ყოველი სმელეთი გუგასა თუალისა მისისასა, მცირისა მარგალიტისა სწორად შეიყუნის, განიხილის და განიცადის საჭმელი მისი ცეცხლებრ, და რაჲ ინახის, მიუტევნის ფრთენი და მიეტევის მას-ზედა. ეგ-

რეთ იყოს ცხოვრება შენი: აწ ვიწყო და გითხრა ყოველივე: ოდეს იხილეს ღმერთი იგი უკჳდავი კაცთა მოკჳდავთა ქვეყანასა ზედა, რომელი მოხრულ იყო მოწოდებად წარმართთა, ვითარცა თჳთ ინება ხსნაჲ სოფლისაჲ, იწყო კეთილის ყოფად ურიათა, მკჳდარ-თა აღდგინებად, ბრმათა აღხილვად, ხნეულთა განკურნებად: ქსე შეიშურვეს და შეიზრახნეს, და წარავლინეს სტრატიოტნი ყოველ-სა ქრისტეანესა, სწრაფით მოსლუად ურიათა, ჰრქ̂ჳს, რამეთუ ,,ესე-რა წარვსწყმდებით. მოვედით და შემოვკრბეთ ყოველნი:“ მოიწი-ვნეს ყოვლით ქრისტეანით კაცნი მრავალ რიცხუნი, სწავლულნი სჯულ-სა მოსესსა, რომელნი იგი ანტაკრად წინა აღუდგეს სულსა წმიდა-სა, ანტაკრად, რაჲ იგი ჯერ იყო ყოფად ქრისტეანესა, მათ აღასრუ-ლეს, ჯუარს აცვეს და სამოსელსა ზედა მისსა წილ იგდეს, და ხჳ-და წილით ჩრდილოელთა მცხეთელთა მოქალაქეთა კუართი იგი უკერავი: ხოლო დაფლეს იესო და დაჰკრძალეს საფლავი მისი, არა-მედ იგი აღდგა, ვითარცა სთქუა პირველად, და ტილონი იგი ჰპოვნეს საფლავსა შინა და შემდგომად რაოდენთამე ჟამთა, შევი-დეს ხელთა ლუკა მახარებლისათა, და დასხნა იგინი სადაცა თჳთ იცის: ხოლო სუდარი არა იპოვა, არამედ სთქ̂ჳს ვიეთმე პეტ-რეს-თჳს ვითარმედ, ,,ხელ-ეწიფა აღხუმადო და აქუს მასო.“ არა-მედ განცხადებულად არა გვითხრნეს: ხოლო ჯუარნი ამასვე ქალაქ-სა შინა დამარხულ არიან, არამედ ადგილი მათი არავინ იცის: ოდეს ინებოს ღმერთმან, გამოჩნდეს იგინიცა:“ ვითარცა ესმა ესე ყოვე-ლი წმიდასა ნინოს ნიაფორისგან, მისცა კურთხევაჲ და მადლი ღმერთსა, და კვალად ჰკითხა. ,,სადა არს ჩრდილოსა იგი ქრისტეანსა, სადა არს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისა:“ ჰრქ̂ჳა ნიაფორმან. ,,ქალაქი მცხეთა, ქრისტეანეაჲ ქართლისა, სომხითისა მთიულეთი, არს საწარმართოჲ, რამეთუ ჟამსა ამას უფიკთა სახელმწიფოთ შე-ქმნილ არს იგი:“

ხოლო მათ დღეთა შინა მოვიდა დედა-კაცი ვინმე ეფესოთ თაყჳანის-ცემად წმიდისა აღდგომისა, და ჰკითხვიდა დედა-კაცსა მას ნიაფორი ვითარმედ: ,,ელენე დედოფალი ჯერეთცა ეგე-ვითარსა ცთომასა და ბნელსა შინა არს:“ ხოლო მან ჰრქჳა ესრეთ, ვითარმედ ,,ვარ მხევალი მათი, და მახლობელი განზრახჳასა მათსა ყოველსა, ცხადსა და დაფარულსა, და უწყი მე მისი, რამეთუ აქჳს მას დიდი წადიერებაჲ ქრისტეს სჯულისა და ნათლის-ღებისა-თჳს:“ ხოლო ესმა-რა ესე დედა-კაცისა მისგან წმიდასა ნინოს, ჰრქჳა ნიაფორსა ესრეთ, ვითარმედ ,,წარმგზავნე მე და მივიდე დედოფალისა ელენესსა, ნუ უკჳე მივეახლო სიტყჳს-გებად ქრისტეს-თჳს წინაშე მისსა:“ ხოლო ნიაფორმან აუწყა პატრიარქსა წადიერებაჲ ესე და საქმე ნინოსი. მაშინ პატრიარქმან, დედის ძმამან მისმან მოუწოდა წმიდასა ამას ნინოს, დის-წულსა თჳსსა, და დაადგინა იგი აღსავალსა წმიდისა საკურთხეველისასა, და დასხნა ხელნი მისნი წმიდანი მხართა ზედა მისთა, სულთ-ითქჳნა ცად მიმართ სიღრმით გულისა მისისათა, და ჰსთქჳა: ,,უფალო ღმერთო საუკუნეთაო, ხელთა შენთა შევვედრებ ობოლსა ამას შვილსა დისა ჩემისასა, და წარვავლინებ ქადაგებად ღჳთაებისა შენისა, რათა ახაროს აღდგომაჲ შენი: სადაცა სათნო იყოს სრბაჲ მისი, ექმენ, ქრისტე ღმერთო, ამას თანა-მოგზაურ, ნავთ-სადგურ, მოძღჳარ, ენა-მეცნიერ, ვითარცა უწინარეს ამისსა მოშიშთა სახელისა შენისათა:“

და უჯმნა დედისაგან თჳსისა ამბორის-ყოფითა განშორებისათა, და გამოსასა მას ზედა სასწაული ჯჳარისა, და ესრეთ ლოცვითა ღჳთისა მიმართ და კურთხევითა განუტევა: და წარემართა წმიდა ნინო დედა-კაცისა მის-თანა ეფესოთ მოსრულისა, და ვითარ მიიწივნეს სამეფოსა ჰრომს სახიდ დედა-კაცისა, რომელსა იგი თანა-მოგზაურ ექმნა, იხილეს მუნ დედოფალი ვინმე და ტომი მეფეთა, სახელით რიფსიმე, და დედა-მძუძე მისი გაიანე, რომელნი

ქსე იყოფოდეს მონასტერსა შინა ქალწულთასა, და ჰსუროდათ ქრი-
სტეს-თჳს, და მომლოდნე იყჳნეს იერუსალიმით ნათლის-ღებასა:
მაშინ დედა-კაცმან მან წარუდგინა წმიდაჲ ნინო, და აუწყა საქმე
მისი დედოფალსა რიფსიმეს, რომელი იგი იხილა-რა ქრისტეს
მოყჳარემან რიფსიმე, სიხარულით შეიტკბო და შეიწყნარა სახიდ
თჳსად, წინაშე მისსა, წმიდაჲ ნინო ხელთაგან მის დედა-კაცისა
თანა მოგზაურისა: და ესრეთ იყოფოდა-რა მისთანა წმიდაჲ ნინო,
მასვე შინა წელიწადსა ნათელ-იღო რიფსიმე, რომლისა-თჳს იგი
სურვიელ იყო, მის-თანა გაიანეცა დედა-მძუძემან და სხჳათა მათ
სახლეულთა მისთა, რიცხჳთა ორ-მეოც და ათთა სულთა, ხელსა
შინა წმიდისა ნინოსსა. და იყოფოდეს მონასტერსა შინა თჳსსა, დ
მათ-თანა წმიდაჲ ნინო, ორ წელ.

მათ დღეთა შინა წარავლინნა კეისარმან მიებად ქალისა ქმნულ-
კეთილისა და შუჱნიერისა, რათამცა უპოვეს ღირსი ცოლად მისსა,
და ვითარ მოიწივნეს მეძიებელნი იგი მონასტერსა ქალწულთასა, და
იხილეს და განიცადნეს რიფსიმე, და გამოიკითხეს გჳარი მისი,
და სცნეს მეფეთა ნათესავობაჲ მისი, რომლისა სახე ფრიად სთნდა დ
შუენიერება მისი, რომელსა ვერ-სად ესილვა მსგავსი ხილვითა და
შუჱნიერებითა. და გამოსახეს სახე შუჱნიერებისა და ხატისა მისი-
სა ფიცარსა ზედა, და წარჯგზავნეს წინაშე კეისრისა. რომელი იხი-
ლა-რა კეისარმან ფრიად სთნდა და სიხარულით აღივსო, და
განაწესა აღსრულებაჲ ქორწილისა მრავლითა სიხარულითა, რომლი-
სათჳსცა მსწრაფლ წარავლინნა მოციქულნი და განმგებელნი ყოველ-
თა შინა საბრძანებულთა მისთა, რათა ყოველნი დიდითა სიხარუ-
ლითა მოვიდენ ბრძანებითა ამას ქორწილსა სამეუფოსა: ხოლო
იხილეს-რა ყოვლად-წმიდათა მათ დაფარული იგი მანქანებაჲ
მტრისა, და ისარნი მისნი განსხურვებულნი, რომელითა იგი ისწრა-
ფდა სისრად წმიდათა ქრისტესთა, იურვოდეს, რამეთუ ჭური რის-

ხჳისა იპოვა მეფე, ვითარცა გველი სამოთხესა შინა მზრახველ ქა-მჱა, ეგრეთვე აქა მსგავსად მისსა უსჯულო ქსე; რომელსა აქუნდა შეგინებული თაყუანის-ცემაჲ ბილწთა და შეგინებულთა კერპთა.

ხოლო იხილეს-რა ნეტარმან რიფსიმე, გაიანე და სხუათა მათ წმიდათა დედათა განსაცდელი ესე მათ ზედა მოწევნულად, მაშინ მოასხენეს მათ უზიწო იგი აღთქმაჲ და ღირსი ქებისა მარტოებითი ცხოვრებაჲ, რომელსა იგი იყუნეს განსწავლულ, და გოდებით ტიროდეს გამოსატყვით შესწავებისა მის-თჳს წინაშე მეფისა უსჯულოისა შუენიერებისა წმიდისა რიფსიმესა, რომელი იგი გამოესატყუათ და წარგზავნეს. და მისცნეს თავნი თჳსნი ფიცხელისა მოღუაწებისა კანონსა, ლოცვითა და ვედრებითა ღუთისათა დაუცადებელითა, და ერთობით განზრახვითა ურთი-ერთარს, ყოველთავე დაუტევეს ქუეყანა იგი ფარულად, ორ-მეოც და ათცამეტ-მან სულმან, და მოიწივნეს ლტოლვილნი არეთა და სანახებთა სომხითისათა, ადგილსა რომელსა ჰრქვიან ახალ-ქალაქი, უალრეს შენებულსა, რომელ არს დვინი, საყოფელი სომეხთა მეფისა, და შევიდეს მუნ ტალავართა მათ შინა საწნახელთასა, რომელნი იგი იყუნეს შენებულ ჩრდილოთ-კერძო და აღმოსავლით, და იზრდებოდეს მუნ შინა ხელთ-საქმისა თჳსისა განვაჭრებითა: ხოლო იხილა-რა კეისარმან, რამეთუ განერნეს ხელთაგან მისთა და ტრფიალებისაგან მისისა ბოროტისა წმიდაჲ რიფსიმე და სხუანი იგი მისთანანი, აღივსო უნუგეშინისცემოჲთა მწუხარებითა, და წარავლინნა კაცნი ყოველთა ადგილთა, მოძიებად მათდა:

მაშინ მოიწივნეს მოციქულნი იგი კეისრისანი წინაშე თრდატ, სომეხთა მეფისა, და მოართვეს წიგნი კეისრისა, რომელსა წერილ იყო ესრეთ: ,,თჳთ-მპყრობელი კეისარი, საყუარელსა ძმასა და მეგობარსა და თანა-მოსაყდრესა ჩემსა თრდატ, გიკითხავ: უწყებულ იყავნ ძმობაჲ შენი და თანა-შემწეობა, რომლისა-თჳს იგი პირვე-

ლად გვევნების შეცთომილისა მის ქრისტიანეთა ნათესავისა. რამეთუ ყოვლადვე შეურაცხ იქმნების ჩვენი უფლება მათისაგან კრებულისა, და საწყუნელ არს ჩუჱნი ხელმწიფება მათგან. რამეთუ იგინი ჯუარცმულსა ვისმე მომკუდარსა ჰმსახურებენ და ძელსა თაყუანის-ცემენ, და თავისა მათისა სიკუდილსა უფლისა მათისა-თჳს დიდებად შერაცხებენ. და არა ეშინის ურიათაგან, და მოკლულისა მისგან ურიათაგან და ჯუარცმულისა ეშინის და შეცთომილ არიან: მეფეთა აგინებენ, ღმერთთა შეურაცხ-ჰყოფენ, და ძალსაცა მზისასა, მთვარისასა და ვარსკულავთა ნათლისასა არად შეჰრაცხიან, არამედ შექმნულად იტყვიან მათ ჯუარცმულისა მის მიერ, და ესრეთ მიაქციეს ქუჱყანა ვიდრემდის მამანი დედათაგან, და დედანი მამათაგან ცოცხალვე განაშორნეს: დაღაცათუ დიდითა ქადაგებითა და ფრიადითა სატანჯველითა მოვსწყუედენით, არამედ კუალადცა უფროსად განმრავლდეს: ხოლო აწ შემემთხვია მე ხილუა ნათესავისა მათისაგანისა, ქალისა ერთისა ჭაბუკისა, და განვიზრახე მოყუანება მისი ცოლად ჩემდა, ხოლო მას არცაღათუ ვითარცა მეფისა უთქუა გულმან სურვილად ჩემდა, არამედ საძულელად და არა წმიდად შემრაცხეს მე, რომლითაცა მეოტ იქმნნეს ფარულად ჩემგან და კერძოთა ქუჱყანისა შენისათა წარმოსრულ არიან: უწყებულ იყავნ შენდა, ძმაო ჩემო, და მოიძიენ იგინი და ჰპოვნე-რაჲ მისთანანი იგი, სიკუდილითა მოაკუდინენ: ხოლო რომელი იგი მათ შეაცთუნეს, შუჱნიერი იგი სახითა და სახელით რიფსიმე, ჩემდავე წარმოავლინე: და უკეთუ შენ გთნდეს იგი, თავისა შენისათჳს იგულე, რამეთუ არა იპოვო სხუა მსგავსი მის იონთა სოფელსა შინა, და ცოცხლებითცა იყოფები შენ მსახურებასა შინა ღმერთთასა:“

ხოლო აღმოიკითხა-რა თრდატ ბრძანება ესე კეისრისა, მყის იწყო მოსწრაფებით ძიება მათი, და ჰპოვნა-რა საწნახელთა მათ შინა პირველ-ხსენებულთა, და იხილა-რა რიფსიმე, აღივსო ტრფია

ღუზითა გულის-თქმისათა და სიხარულითა დიდითა, და დაამტკიცა მიყუანებაჲ მისი ცოლად მისდა: ხოლო ურჩ ქმნა-რა თრდატს საქმისა ამის-თჳს წმიდა რიფსიმე, მაშინ იწამა იგი მის მიერ წამებისა ღუაწლითა, მისთანა გაიანეცა, დედა-მძუძე იგი მისი და სხუანი მრავალნი მათთანანი, ვითარცა იგი წერილ არს წიგნსა მას წამებისა მათისასა, მოქცევასა შინა სომეხთასა, რამეთუ თრდატ მეფე, განგებითა ღუთისათა, ეშვად შეიცვალა: ხოლო რომელნიმე მათოგანნი წმიდანი დაიმალნეს და ივლტოდეს, რომელთა-თანავე მაშინ ესე წმიდა ნინო დამალულ იქმნა ეკალთა შორის ვარდისათა, რომელი იგი ჯერეთ არღარა გამომღებელ-ქმნილ იყო ყუავილისა ყამსა, და ესრეთ დამალულ რა იქმნა წმიდა ნინო, და იხილა მუნით გამო, სახითა მთავარ-დიაკონისათა შთამომავალი ზეცით, ნათლისა ოლარითა მოსილი, და მპყრობელი სასაკუმევლისა ხელთა მისთა, რომლისა კუამლისა სახე სუნნელება დაჭოჳარვიდა ცათა. და კუალად იყო მისთანა სიმრავლე ერთა ზეცისათა, რამეთუ მას ყამსა განევლტოდეს ხორცთაგან სულნი წმიდათა მათ მოწამეთანი, რომელნი იგი შეიერთნეს ბრწყინვალეთა მათ ზეცისა ძალთა, და ესრეთ ცად მიმართ აღიწეოდა: რომელ ესე იხილა-რა ესრეთ წმიდამან ნინო, ღაღად-ყო ესრეთ. ,,უფალო, უფალო, რად დამიტევებ მე შორის ასპიტთა და იქედნეთა:‘‘ მაშინ ხმა ესმა ზეგარდამო, რომელი ეტყოდა, ვითარმედ: ,,ესრეთვე იყოს შენიცა წარყუანება სასუფეველად წინაშე ღუთისა. ყამსა ეგე ეკალი, რომელ არს გარემოს შენსა, ყოველივე იქმნეს ვარდის ფურცელი სუნნელი, არამედ აღჴსდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ კერძო, სადა იგი ფრიად არს სამკალი, ხოლო მუშაკი ყოვლად არა:‘‘

ამისსა შემდგომად წარმოვიდა მუნით წმიდა ნინო, და მოიწია ორბანთად, საზღუართავე სომხითისათა, და მუნ დაიზამთრა ჴირთა შინა მრავალთა, და თთუესა მეოთხესა მარტითგან, რომელ-

არს ჟენისი, წარმოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა, სადა იგი მიემთხვია ტბასა დიდსა გარდამომდინარესა, რომელსა ეწოდების ფარავნა: ხოლო მისულსა-რა მუნით და იხილნა მთანი ჩრდილოსანი, დღეთა მათ ზაფხულისათა სავსენი თოვლითა და ჴაერითა სასტიკისათა, შესძრწუნდა წმიდა ნინო და თქუა. „უფალო, უფალო, მიიღე სული ჩემი ჩემგან:“ და დაჲყო მუნ ორ-დღე, და ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან, ტბასა მას შინა მონადირეთასა: და რამეთუ მწყემსნიცა იყჳნეს ადგილსა მასვე და ხმილვიდეს-რა სახმილავსა ღამისასა სამწყსოსა ზედა მათსა, ხადოდენ იგინი შემწედ და მფარველად მათდა ღმერთთა მათთა, არმაზს და ზადენს, და აღუთქმიდეს მათ შესაწირავთა, „ოდეს მოვიდეთ წინაშე თქუენსა მშჳდობითო:“ და ამას იტყოდეს იგინი ენითა სომხურითა, რომელ ესე ესწავლა მცირედ რამე ნინოსცა პირველვე ნიაფორისაგან, და ჰპოვა მწყემსთა მათ შორის მზრახველი სომხურისა ერთი, და ჰკითხა მას და ჰრქუა ენითა სომხურითა, ვითარმედ „რომლისა სოფლისანი ხართ:“ ხოლო მან მიუგო და ჰრქუა, ვითარმედ „ვართ ჩვენ დაბითი ელარბინით და საფურცლით, და ქინძარელნი, რაბატელნი, დ დიდის ქალაქის მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ:“ და ჰკითხა. „სადათ არს მცხეთა:“ ხოლო მან მიუგო და ჰრქუა, ვითარმედ „გარდამდინარე ესე ტბისა თანა-წარვლის ქალაქსა მას მცხეთასა:“

ხოლო წმიდასა ნინოს შეუშინდა სიგრძე გზისა მის და სიმრტჳე მთათა მათ, რომელი იხილა, და ამისთჳს შეძრწუნებულმან სულით ითქუნა და დაიდვა ლოდი ერთი სასთუნალ და ესრეთ მიიძინა გარდასადინელსა მას ტბისასა: და ვითარ იგი ეძინა მოვიდა კაცი ერთი ჩვენებით, ჰასაკითა ზომიერ, ხოლო თმითა ნასხევარ თმოსანი, და მისცა მას წიგნი დაბეჭდილი წმიდასა ნინოს და ჰრქუა: „მიართუ ესე მსწრაფლ ქალაქსა შინა მცხეთასა. მეფესა მას წარ-

მართთასა:“ ხოლო წმიდამან ნინო იწყო ტირილად და ჰრქუა მას
ვედრებით, ვითარმედ „მე, უფალო, დედაკაცი ვარ უცხო და უმე-
ცარი, არცა მრავლის მეტყუელ მეცნიერ. ვითარ მივიდე უცხოსა
ქუეყანასა და კაცთა მათ უცხო თესლთა:“ მაშინ კაცმან მან განუ-
ხსნა წიგნი იგი, და იყო წერილი რომაელებრ, რომელსა ზედა
იყო ბეჭედი იესო ქრისტესი. და წერილ იყუნეს მათ შინა ათნი
სიტყუანი, მსგავსადვე ფიცართა მათ ქვისათა მოსესზე: მისცა გი-
თხუად წმიდასა ნინოს, და განიფრთხო-რა წმიდამან, აქუნდა ხელ-
თა შინა: ხოლო იყო დასაბამი სიტყუათა მათ ესე:

ა. სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა ითქმოდის დედა-კა-
ცი ესე:

ბ. არცა მამა-კაცება არს, არცა დედა-კაცება, არამედ თქუენ
ყოველნი ერთ ხართ:

გ. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი, და
ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა
წმიდისათა:

დ. ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა, და დიდებად
ერისა შენისა ისრაილისა:

ე. და იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა ყოველსა სოფელსა:

ვ. რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარა, და რომელ-
მან მე შემიწყნაროს შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი:

ზ. რამეთუ ფრიად უყუარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარა-
დის ისმენდა მისსა სიტყუასა ჭეშმარიტსა:

ჱ. ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდნენ ხორცნი თქუენ-
ნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუედად:

თ. ჰრქუა მარიამ მაგდალინელსა იესო: „წარვედ, დედა-კაცო,
და ახარე ძმათა ჩემთა:

ი. სადაცა ჰქადაგებდეთ, სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა:

ვითარცა წარიკითხნა სიტყუანი ესე წმიდამან ნინო, იწყო ვედრებად ღმრთისა მიმართ და გულის-ხმა-ჰყო, ვითარმედ ზეცით იყო ჩუენება ესე, და აღიხილნა თუალნი ზეცად და ითხოვა მაღალთა შინა დამკვიდრებულისა და ყოვლისა გარე-შემცველისა ღმრთისაგან შეწევნა მისი, და წარმოემართა და მიჰყუა მდინარესა მას ტბისაგან გარდამომდინარესა, რომელი იგი წარმდინარეობს დასავლით, მერმე კუალად იწყებს აღმოსავალით დინებასა: მიუდგა გზათა ძნელთა და ფიცხელთა, ნახნა ჭირნი დიდნი გზათაგან, და შიშნი დიდნი მხეცთაგან, ვიდრე მიწევნამდე ადგილსა მას, რომელსა იწყებს წყალი იგი აღმოსავლით დინებასა, და მიერითგან იქმნა ლხინება მისი. რამეთუ პოვნა მუნ მგზავრნი, რომელთა თანა მიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი, სადა იგი იხილა ერი უცხო და უცხოთა ღმერთთა მსახურნი. რამეთუ თაყუანის-სცემდეს იგინი ღმერთად მათდა ცეცხლსა, ქუასა და ძელთა, რომლისა-თჳსცა შეეურვა სულსა ამის წმიდისასა, და შევიდა უბანსა ურიათასა, რომელთაცა ზრახვიდა მათთანა ენის-თჳს ებრაულისა, რომელსა იგიცა მეცნიერ იყო. და დაყუნა მუნ თთჳსა ერთისა დღენი, და განიცდიდა საქმესა და ძალსა მის ქუეყნისასა: ხოლო აღიძრნეს დღესა შინა ერთსა ერნი დიდნი სიმრავლითა მით ქალაქით, წარმავალნი დედა-ქალაქად სამეფოდ მცხეთად, მოვაჭრებად სახმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა, და წარჰყუა მათ წმიდაცა ნინო: ხოლო ვითარ იგი მიიწივნეს ქალაქად მცხეთად, და დაისადგურეს მათ წიაღ მოგუთასა, ხიდსა მას ზედა, იხილა მუნ მოგობა ცეცხლის მსახურთა მათ ერთა და საცთური, და სტიროდა წმიდა ნინო წარწყმედასა მას ზედა მათსა, და იგლოვდა უცხოებასა თჳსსა: და აჰა ხუალისა დღე იყო ხმა ოხრვისა და სა-

ყვირისა, და ზარი საშინელი, და გამოსრჳლა ერისა ურიცხვისა, ვითარცა ყვავილთა ველისათა, და ზარი საშინელი გამოვიდოდა,ვიდრე გამოსრჳლადმდე მეფისა: და ვითარ იგი მოიწია ჟამი იყო სივლტოლა და მიმოდაბნევა ყოვლისა კაცისა, და შიშისაგან შეივლტოდეს და დაიმალვოდეს სათვარველსა შინა თჳსსა: და აჰა მყის გამოვიდა ნანა დედოფალი, და შემდგომად მისსა გამოვიდა სიმრავლე ერისა ნელიად, და შეამკჳნეს ყოველნი გზანი იგი და ფოლორცნი, და სამოსელთა მიერ და თვითო-ფერთა ფურცელთაგან ხეთასა: მერმეღა გამოვიდა მეფე მირიან, საზარელითა და თჳალშეუდგამითა სილვითა, და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა: და ჰკითხა წმიდამან ნინო დედა-კაცსა ვისმე ურიასა, ვითარმედ „რა არს ესე:“ ხოლო მან ჰრქუა. „ღმერთი ღმერთთა არმაზ უწესს მათ, წინაშე მისსა აღსლუჳად, რომლისა მსგავს არა არს სხუა კერპი:“ და ეუწყარა წმიდასა ნინოს, აღვიდა ხილვად კერპისა მის არმაზისა, ერისა მის-თანა, რომლითა აღივსნეს მთანი იგი, და განამვენებდეს დროშათა მიერ და სამკაულთა, ვითარცა ყვავილნი ველისანი და შეუსწრო წმიდამან ნინო ციხედ არმაზად, და დადგა იგი მახლობელად კერპისა მის, ნაპრალსა ზღუდისასა, და ხედვიდა საკვირველებასა მიუწდომელსა და ენითა გამოუთქმელსა. ვითარ იგი იყო შიში და ძრწოლაჲ ზარისა აღსავსელი, მეფეთა მათ და ყოვლისა ერისა, წინაშე კერპთა მათ წარდგომილთა: რამეთუ იხილა მუნ წმიდამან ნინო მდგომარე კაცი ერთი სპილენძისა, რომელსა ეცუა ტანსა მისსა ჯაჭვი ოქროსა, და თავსა მისსა ჩაფხუტი ოქროსა, სამხრენი და თუალნი მისნი იყუნეს ზურმუხტისა და ბივრიტისანი, და ეპყრა ხმალი ხელსა მისსა, ელუარე და ბრწყინვალე, რომელი იგი იქცეოდა ხელსა შინა მისსა, და შიშითა მისისა მითხუწვისა და სიკუდილისა მისმიერითა, არავინ განუკრძალველად შეემთხუეოდეს კერპსა მას, არამედ ეხრეთ განიკითხის თავი თჳსი

და თქვის. „ჱი ჩუმდა, უკეთუ დასამჭვალლდი დიდებასა დიდისა ამის ღუთის არმაზისსა, ანუ შესამჭვრცეთ სიტყუჲად ებრაელთა თანა, გინა მოგუთა თანა სმენასა ოდენ დამთხუჴმულ იყო მზისა მსახურთასა, და მათსა, რომელნი იგი იტყვიან უმეცრებით დიდსა ვისმე ღმერთსა და ძესა ღუთისა ზეცათასა, და იპოვის რაჲმე ეხე ვითარი ბიწი, დამცეს მე მახვილი მისი, რომლისაგან ემინის ყოველსა ქრისტეანსა:" და ეხრეთ წინაწარვე განკითხვითა თავთა თჳსთათა, შიშითა და ძრწოლით თაყუანისციან მას:

და ჭუალად იყო მარჯვენით მისსა სხუა კერპი ოქროსა, სახითა კაცისათა მდგომარე, და სახელი მისი გაცი, და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვეცხლისა, და სახელი მისი გაიმ, რომელნი-იგი ღმერთად უხნდენ ერთა მათ ქართლისათა: მაშინ, ვითარ იხილა ნეტარმან ნინო, იწყო სულთქმით და ცრემლით ტირილად ღუთისა მიმართ, ცთომილთა მათ-თჳს ქრისტეანისა ჩრდილოსათა, და მიფარვისა მისთჳს მათგან ნათლისა, და უფლებისა მათზედა ბნელისათჳს: რამეთუ მისცდნა მეფეთა მათ დიდ-ძალთა და ყოველთა მთავართა, რომელნი იგი ცოცხლივ შთაენთქნეს ჯოჯოხეთს, დაეტევათ დამბადებელი, და ქვათა და ძელთა, სპილენძსა და რვალსა განჭედილსა ღმერთად თაყუანის-სცემდეს, და ესენი იცნობებოდეს ყოვლისა შემოქმედად: და მოესხენა წმიდასა ნინოს მაშინ სიტყუა იგი, რომელი ამცნო დედის ძმამან მისმან იობენალ პატრიარქმან, ღირსმან, წმიდამან, ესრეთ, ვითარმედ „მამა-კაცსა სრულსა წარგავლინებ, და მიწევნად ხარ ქვეყანასა უცხოსა და ნათესავთა დარგველ, ზეველი, ბარკადულ, რომელ-არს ბრანჯულად, კაცთა ღუთის მბრძოლთა და მსდომელთაო:" მაშინ აღიხილნა ზეცად მიმართ და თქუა: „უფალო, მრავლითა ძალითა შენითა გეტრუვნეს მტერნი შენნი, და მრავლითა სულ-გრძელებითა შენითა იქმენ, რასაცა იქმან, და მოიგონებენ ყოველთა მტვერებრ და ნაცრებრ, განქარვებადნი

ესე ქუეყანასა ზედა. არამედ ნუ უგულებელს-ჰყოფ რომელი შექმნეს ხელთა შენთა კაცი ხატად შენდა, და რომლისა-თჳს ერთი სამებისაგანი განჰკაცდენ და აცხოვნე ყოველი სოფელი, და მოხედენ წყალობით ამათცა ზედა ნათესავთა და შეჰკრიბსენ სულთა ამათ ბოროტთა და უჩინოთა, სოფლისა-მპყრობელთა, მთავართა ბნელისათა, და შთასხდენ ადგილთა ძნელთა, და მიჩვენე მე, უფალო, ღმერთო მამისა და დედისა ჩემისაო, მხევალსა ამას შენსა და ნაშობსა მონათა შენთასა, რომელი იხილონ ყოველთა კიდეთა ქუეყანისა მაცხოვარება შენი, და რათა ჩრდილო ბღუარსა თანა იხარებდეს, და ყოველმან ერმან მხოლოსა ღმერთსა თაყუანის-გცეს ქრისტეს იესოს მიერ ძისა შენისა, რომელსა შუენის მადლობა, და დიდების მიცემა უკუნისამდე:“

და ვითარცა დაასრულა ლოცუა ესე წმიდამან ნინო, მყის წამის ყოფითა საღმრთოთა აღდგეს დასავლით ქარნი, და ჰაერნი ღრუბელთა თანა, ხილვითა საშინელითა და ხმითა ზარისა აღსახდელისა ქუხილისათა, და მოჰბერნა ნიავმან მზისა დასავლისამან სული ჯერ-კუალი, სიმწარისა და სიმყრალისა, რომელი ესე იხილარა სიმრავლემან ერისამან მათზედა მომავალად, მაშინ იწყეს მსწრაფლ სირბილად, შელტოლუად ქალაქთა და სოფელთა თჳსთა, და რამეთუ მცირედ დროსცა ღმერთმან ვიდრე განრინებადმდე თავთა მათთა და ყოფად ამისსა, რათამცა შეესწრნეს იგინი მომსრველსა მას საყოფელთა შინა თჳსთა. და ვითარ განიბნივნეს იგინი ყოველნი, მეყუსეულად მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი, მწარედ სასტიკი, და მოიღო ხეტყუა სწორი ქვისა, ორთა მიერ ხელთა მძლედ ძლით სატყორცებელი, ადგილსა მას ოდენ ზედა, საყოფელსა კერპთასა, და შემუსრვით დააწულილნა იგინი, და დაარღვივნა ზღუდენი იგი ქარისა მიერ სასტიკისა, და შთაიბნივნეს იგინი კლდეთა ნაპრალთა მათ შინა. ხოლო წმიდა ნინო ეგო უშ-

ნებელად, დაცული ადგილსა მასვე, სადა იგი პირველ შესრულ და მდგომარე იყო.

ხოლო დღესა მეორესა გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი იგი ერი, ძიებად ღმერთთა მათთა, და არა ჰპოვებდეს, რომლისა-თჳს იგი დაეცა მათ შიში და ძრწოლა, და განკვირვებამან შეიპყრნა, და უმრავლესნი იგი ერნი იტყოდეს გულ-ფიცხელნი, მოუდრეკელნი ესრეთ, ვითარმედ: ,,ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩვენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე ურთიერთარს მტერ არიან. რამეთუ ამან ოდესმე მათ ზედა ზღუა მოაქცია, და აწ მან შური იძია და მოაწია ესე ამას ზედა:'' ხოლო რომელნიმე ესრეთ იტყოდეს, ვითარმედ ,,რომლისა ღმერთისა ძალითა თრდატ, სომეხთა მეფე, ეშვად შეიცვალა, და კუალად ეშვისაგან კაცადვე მოაქცივნა, მან უკუე ღმერთმან ჰყო და მოაწივნა ესე რისხუა თჳსი მათზედა:'' და ამას ესე ვითარსა იტყოდეს ამისთჳს მაშინ, რამეთუ ვინათგან მეფე თრდატ ქრისტეს ძალითა ეშვად გარდაქცეულ იყო და ძალითავე ქრისტესითა კუალად კაცადვე შეცუალებულ იყო, მიერითგან ქება, დიდება ქრისტესი არღარა ფარულად ითქმოდა ქართლსა შინა. რამეთუ მადლსა ღუთისასა ეწყო მიფენა აღმოსავლეთს.

ხოლო მასვე დღესა რისხვისა და კერპთა შემუსვრისასა დასცხრა სეტყუა იგი და ქარი სასტიკი. მაშინ გამოვიდა წმიდა ნინო კლდისა მისგან ნაპრალისა და ჰპოვა თუალი იგი ტივრიტი, აღიღო და წარმოვიდა წინა კერძო, დასასრულსა მას კლდის ცხვირისასა, სადა იგი ყოფილ იყო ძველადვე ციხე და ქალაქი, და იხილნა მუნ მდგომარედ ხენი ერთნი, რომელთა ბრინჯ უწოდიან, მაღალნი, შუენიერნი და რტო მრავალნი, სადა იგი ყოფილ იყო ზარტამ მეფისა საგრილი და განსასვენებელი, და მივიდა ხესა მას ქუეშე, გამოსახა სასწაული ქრისტეს ჯუარისა, და აღასრულნა მუნ დღენი ექუსნი, მადლობით და ვედრებით ღუთისა მიმართ, წყალო-

ბით მოსლვისა თჳს და ხსნისა ერისა მის ეშმაკთა შეცთომილისა. ხოლო ოდეს იქმნა კერპთა შემუსრვა, იყო თვე მარტითგან მეექუსე, აგვისტოსი, და დღე მეექუსე, რომელსა შინა ფერი-იცუალა ქრისტემან, წინაშე თავთა მათ წინასწარმეტყუელთა და მოწაფეთა თჳსთასა.

და ვითარ იგი ვთქუ იყოფებოდა რა წმიდა ნინო სათვარეველსა მას ქუეშე ხეთასა, მაშინ მოვიდა მისდა ხეფე ქალი ერთი, სახელით შროშანა, და იხილა მუნ წმიდა ნინო ესრეთ მყოფი, განკვირდა და ჰკითხა მას, სხვისა მიერ ბერძულ-მეტყუელისა დედაკაცისა, ვინაობა მისი, სხვისა ყოვლისავე თანა საქმისა მისისა. რომელი იგი აუწყა რა ყოველივე ნინო, თვინიერ უწყებისა მშობელთა თჳსთასა, და იჩემა ტყუეობა თავისა თჳსისა, მაშინ შროშანა თანა ლმობილი და მოწყალე ქმნილი უცხოებისათჳს მისისა, ცრემლით აიძულებდა წმიდასა ნინოს წარსლუად მისთანა, სახიდ სამეუფოდ, რომელი ესე არა ინება წმიდამან ნინო, არამედ განეშორა და წარვიდა მისგან შროშანა და შემდგომად სამთა დღეთა აღდგა მუნით, განვლო მტკუარი და მიიწია სამოთხესა მას მეფისასა, სადა იგი აწ არს სვეტი იგი ღუთივ აღმართებული და ეკკლესია საკათალიკოზო, და იხილა მუნ სახლი მცირე, სამოთხისა მის მცუელისა, და შევიდა მას შინა იხილა და მოეგება მას დედა-კაცი, ცოლი სამოთხის მცუელისა მის, სახელით ანასტასია და მოწლედ ამბორის ყოფითა შეიტკბო, ვითარცა მრავალ ჟამითგან მეცნიერმან და მეგობარმან, დაბანნა ფერხნი და განუსვენა ცხებითა ზეთისათა, და დაუდგო პური და ღვინო.

დაჰყუნა მისთანა წმიდამან ნინო დღენი და ჟამნი ცხრათა თვეთანი. ხოლო იყუნეს ესე ანასტასია და ქმარი მისი უშვილო, რომლისათჳს ფრიად მწუხარე იყუნეს იგინი. მაშინ იხილა წმიდამან ნინო ჩვენებასა შინა ძილისასა კაცი ნათლით შემოსილი, რო-

მელი ეტყოდა, ვითარმედ „შევედ სამოთხესა მაგას, და ჰპოვო ქვე-
შე კერძო ნაძჳთასა მცირე ბაბილო შემზადებული გამომღებელად
ყვავილთა სუნნელთა, და აღიღე მიწა ადგილისა მისგან, და ეც ჭა-
მად მეუღლეთა მაგათ და ეხვას შვილი:“ ხოლო წმიდამან ნინო
ულოცა და სცა ჭამად ცოლ-ქმართა მათ, ჩვენებით უწყებისა მის-
ებრ, და შჰნეს მათ ძე და ასულები მრავალ, რომლისათჳსცა ჰრ-
წმენა მათ ქრისტე ნინოს მიერ, და დაემოწაფნეს მას ფარულად.
ხოლო წმიდამან ნინო შემდგომად ცხრათა მათ თჳეთასა, რომელ-
ნი დაყუჰნეს სამოთხისა მცველთა მათთანა, ჰპოვა გარეგნით ზღუ-
დეთა მათ ქალაქისათა ქოხი ერთი ბრწმალი, სახედ ტალავრისა მცი-
რისა, მაყვალთა მიერ შემზადებული, განგებითა ღმრთისათა, ადგილ-
სა მას, სადა იგი აწ არს საკურთხეველი ზემოჲსა ეკკლესიისა სამ-
თავრო-ეპისკოპოსოსა, და ჰყო იგი სამყოფელად განსასუენებელად
თჳსად, და აღმართა მუნ შინა ჯუარი თჳთ მის მიერ შემზადებუ-
ლი ნასხლევთაგან ვაზთასა, რომლისა წინაშე განათევნ იგი ღამესა
მარადის მღვიძარებითა, და ეგრეთვე შეაღამენ დღეთა დაუცხრო-
მელად ლოცვითა, მარხვითა და ვედრებითა ღმრთისათა, და განკვი-
რვებულნი სიმრავლესა ზედა ამას ღუაწლთა მისთასა, ჰმსახურებ-
დეს მას მეუღლენი იგი მცველნი სამოთხისა მის მეფისანი. და ეს-
რეთ მუნ მყოფი იგი წმიდა ნინო მრავალ-გზის მივალნ უბანსა
მას ურიათასა, ენისა-თჳს ებრაულისა და გამოძიებისა-თჳს კუარ-
თისა მის უფლისა, რომლისათჳს იგი ესმინა იერუსალიმს ნიაფო-
რისა მისგან, ვითარმედ „წარმოუღიათ იგი მცხეთელთა მათ ური-
ათა,“ რათამცა ყოვლით კერძოვე სცნა, და ეუწყა მას კუართისა მის
ვითარება. მაშინ ჰპოვა მან ურია ერთი სახელით აბიათარ, მღვდე-
ლი, და ასული მისი სიდონია, და უქადაგა მათ სახარება უფლისა
ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელთაცა იგი ჰრწმენა და დაემოწაფ-
ნეს მას, და მათთანა სხუანიცა დედანი დაემოწაფნეს ურიანი, რო-

ცხვით ქჳშნი, სწავლასა მას წმიდისა ნინოსსა, თვინიერ ნათლის-ღებისა, რამეთუ არა იყო მას ჟამსა მღჳდელი, რათამცა ნათელ-ეცა მათ. და იყჳნეს იგინი ფარულად მოწაფე მისი: და აღასრუ-ლებდა ღმერთი ჴელითა წმიდისა ნინოსათა საკჳრველებათა და კურნებათა მრავალთა; რამეთუ რეცა თუ მიზეზითა წამალთა სმა-რებისათა მრავალნი განუკურნებელთა სენთაგან შეპყრობილნი განა-თავისუფლნა უძლურებათაგან მათთა. და ესრეთ იქცეოდა რა ქა-ლაქსა მას შინა მცხეთას წმიდა ნინო, ჟამთა სამისა წლისათა, იხილა ძილსა შინა, ჩვენებით, რომელი იგი მუხლსა თჳსსა ზედა მიყრდნობილმან მცირედ რამე მიირულის, რამეთუ ხედვიდა იგი ესრეთ ვითარმედ რეცა თუ მოვიდიან მფრინველნი ფრთითა შავნი და შთავიდიან მდინარესა მას შინა, და განიბანნიან, განსპეტაკნიან, და აღვიდიან სამოთხესა მას შინა პირველ ხსენებულსა ზაბი-ლოვანსა, და მუნ შინა მოისთჳლებდიან ნაყოფსა მისსა და ყვავილ-თა მათ ისმევდიან, და ესრეთ მოწლედ და სურვილით წმიდისა ნინოსდა მოიღებდა რეცა მისი არს სამოთხე იგი, და გარემოს მის-სა მოაკრებიან იგი ყივილითა შვენიერად: ხოლო ესე რა ესრეთ იხილა წმიდამან ნინო, აუწყა მოწაფესა თჳსსა სიდონიას, ასულსა აბიათარისსა, რომლისათჳს იგი მიუგო მან და ჰრქუა წმიდასა ნი-ნოს. ,,უცხოო და აქა არა შობილო ტყვეო, სიტყვისა-ებრ შენისა, და ჩჳენ ტყვეთა მხსნელო, უწყი, რამეთუ შენზედა მოიწია ახალი ესე ჟამი, და შენ ჟამით ისმეს ჭამბავი იგი ძველი მამათა ჩჳენთა ნაქმარი, ზეცისა მის კაცისა უბრალოსა სისხლისა უსამართლოდ დათხევა, რომელთა იქმან ურიათა სირცხვილი და კიდეთა ქჳეყანი-სათა განზნევა, მეფობისაგან დაცემა, ტაძრისა მის წმიდისა მიღება მათგან, ერისა უცხოსა წოდება და მიცემა მათდა დიდებისა მათი-სა: იერუსალიმ, იერუსალიმ, ვითარ განგიმარტავნ ფრთენი შენნი და შეიკრებ ყოველთა ცისკიდითა ნათესავთა ფრთეთა ქვეშე შენთა.

რამეთუ აჰა აქაცა მოხრულ არს დედაკაცი იგი, რომელმანცა შეცჳა-ლოს ყოველი წესი ამის ქჳეყანისა:" და კვალადცა მიექცა წმიდასა ნინოს და ჰრქჳა ესრეთ, ვითარმედ ჩჳენება ეგე შენი მოასწავებს და ცხად-ჰყოფს ადგილსა ამას შენ მიერ სულიერად სამოთხედ შე-ცჳალებასა და საღმრთოთა ნაყოფთა გამომღებარობასა მისსა უკუ-ნისამდე:

,,ხოლო ვითარ მოვიდა მირიან მეფე საბერძნეთით, ოტებუ-ლი კონსტანტინე მეფისაგან, და ვიდრე მოსლჳადმდე მისსა, გან-ცხადა წმიდისა ნინოს მიერ ქადაგება ქრისტეს სჯულისა, რამეთუ იტყოდა იგი ხმა მაღლად, ვითარმედ ,,გპოვენ მკვიდრი ეგე ჩრ-დილოსანი ცთომასა შინა:" და გამოაჩინა ჯჳარი იგი ნასხლევისა, და იქმოდა მის მიერ საკვირველებათა დიდთა: რამეთუ განჰკურნის განუკურნებელნი თვინიერ წამალთასა, შეხებითა მით ჯჳარისათა, და კვალად ჰქადაგებდეს მისთანავე მოწაფენი მისნი, რომელნი პირველ ფარულად იყჳნეს მოწაფე მისდა, რიცხვით შვიდნი დედანი, ნათე-სავნი ურიათანი, სიდონია, ასული აბიათარ მღჳდლისა, და სხჳანი იგი ქმჳსნი, და სამოთხისა მცველნი იგი ურთიერთ-არს მეუღლე-ნი, და აბიათარ მღჳდელი, ახალი იგი პავლე, რომელი უშიშრად და დაუცხრომელად ჰქადაგებდა ქრისტეს სჯულსა და ფრიად მეც-ნიერ იყო ძველისა სჯულისა, და ახალი ესე სჯული ესწავა მას წმი-დისა ნინოსაგან, და უმეტეს ნინოსსა ამხილებდა ყოველსა კაცსა და ასწავებდა სჯულსა ჭეშმარიტსა ქრისტესსა: მაშინ აღიძრნეს ურია-ნი აბიათარს ზედა, რათამცა ქჳა დაკრიბეს მას. ხოლო მირიან მე-ფემან მიავლინნა მსახურნი, განარინა აბიათარ მოკლვისაგან ურია-თასა, რამეთუ აქჳნდა მირიან მეფესა სურვილი ქრისტეს სჯულისა; ამისთჳს რომელ ასმოდეს მრავალნი სასწაულნი ქრისტეს მიერნი, საბერძნეთით და სომხითით. და არა დააბრკოლებდა ქადაგებად ნი-ნოსა და მოწაფეთა მისთა, არამედ ჰბრძოდა მათ მტერი იგი ყო-

ველთა მიმართ მორწმუნეთა ქმმაკი, და ვერ დაამტკიცებდა აღსა-
რებასა ქრისტესსა. და ეგრეთვე ნანა დედოფალიცა უმეტეს გულ-
ფიცხელ და შეურაცხისმყოფელ იყო ქადაგებასა მას ქრისტეს სჯუ-
ლისასა ჭეშმარიტსა. ხოლო წმიდა ნინო იყო ესრეთ და ილოცვი-
და დაუცხრომელად საყუდელსა მას მისსა, მაყჳალთა ქჳეშე, და
დაკვირვებულ იყჳნეს წარმართნი იგი ლოცჳასა მისსა და მღვიძარე-
ბასა. უცხო უჩნდა საქმე იგი: იწყეს გამოკითხჳად მისსა, ხოლო
იგი აუწყებდა ძველთა და ახალთა წიგნთა, და განაბრძობდა უგუ-
ლისხმოთა მათ, და შთაუდებდა გულსა მათსა სიყჳარულსა ქრისტესსა:
და დაიმოწაფნა მრავალნი. მაშინ იყო ვინმე ყრმა წული უფლისა
მძიმისა სენისა და მიმოაქჳნდა დედასა მისსა კარით კარად, რათამ-
ცა ვინმე ჰპოვა მეცნიერი კურნებისა, და ჰყომცა სარგებელი მისი.
და შეისწავეს იგი ყოველთ, და არაოდეს ჰპოვეს სარგებელი კურ-
ნებისა ყრმისა მისთჳს. და მკურნალთა ჰრქჳეს დედა-კაცსა მას, ვი-
თარმედ ,,არა რა სარგებელ ეყვის ყრმასა მაგას:‘‘ და დედა-კაცი
იგი იყო გულ-ფიცხელი წარმართი, და მარადის სძაგებნ სჯულსა
ქრისტიანეთასა, და აყენებდის სხჳათაცა კითხჳად და მისლჳად ნი-
ნოსსა. ხოლო ვითარცა სასოწარკვეთილ იქმნა მკურნალთა მიერ,
მოვიდა და დავარდა წინაშე ნინოსსა, და ევედრებოდა კურნებასა
ყრმისასა: მაშინ ჰრქჳა წმიდამან ნინო: ,,კურნება რომელი კაცთა-
გან არს, მე არა რა ვყო, ხოლო ღმერთმან ჩვენმან, რომელსა მე
ვმსახურებ, ქრისტემან, მისცეს ყრმასა ამას კურნება, რამეთუ ყო-
ველთაგან განწირულ არს:‘‘ და რომელსა კილიკსა ზედა მარადის
ილოცავნ წმიდა ნინო მას ზედა დადებად უბრძანა მან სნეული იგი,
და იწყო ვედრებად უფლისა, და მასვე ჟამსა განიკურნა ყრმა იგი.
განცვიფრებული და მხიარული მისცა დედასა თჳსსა: ხოლო დედა-
მან ყრმისამან აღიარა ქრისტე და ჰსთქჳა: ,,არა არს სხჳა ღმერ-
თი, თვინიერ ქრისტესსა, რომელსა ჰქადაგებს ნინო:‘‘ და და-

ემოწაფა წმიდასა ნინოს, და შეუდგა კუალსა მისსა, და ადიდებ-და ღმერთსა.

მაშინ დედოფალი ნანა შევარდა სენსა ფიცხელსა, დიდსა და მწარესა, რომლისა კურნება ვერა ვინ შეუძლო. რამეთუ ყოველთა ხელოვანთა მკურნალთა წარმოაცალიერნეს წამალნი მათნი, და ვე-რა შეუძლეს კურნება მისი: უღონო იქმნეს და სასოწარკვეთილ. ხოლო აუწყეს ვიეთმე დედოფალსა, ვითარმედ ,,დედა-კაცისა მის ჰრომისა ტყვისა მიერ, რომელსა ჰრქვიან ნინო, ლოცვითა მისითა მრავალნი სენნი განიკურნებიან:“ მაშინ უბრძანა მსახურთა თჳსთა, რათა მოიყვანონ ნინო: და მივიდეს მსახურნი დედოფლისანი, და ჰპოვეს ნინო ქოხსა მას ქვეშე მაყვალთასა, ილოცვიდა ჟამსა მეექუ-სესა, და მიუთხრეს ბრძანება დედოფლისა. ხოლო წმიდამან ნინო ჰრქუა: ,,არა ბრძანებულ არს ჩემდა, ხადა ბანაკი ჩვენი არს, არა განვიდეთ მიერ. არამედ დედოფალი აქა მოვიდეს, საყოფელსა ჩემ-სა ჭეშმარიტსა, და განიკურნოს ძალითა ქრისტესითა.“ ხოლო მსახურთა მიუთხრეს დედოფალსა თქმული იგი ნინოსი: მაშინ დე-დოფალი გულსმოდგინედ ეტყოდა მათ: ,,შემიმზადეთ მე მცხედა-რი და მიმიყვანეთ მისსა:“ მაშინ წარიყვანეს მცხედრითა მსახურთა მათ და ძე მისი რევ, და სიმრავლე ერისა მისთანა: ვითარ მოვი-დეს საყოფელსა მას წმიდისა ნინოსსა, და დადვეს დედოფალი კი-ლიკსა მისსა ზედა, იწყო წმიდამან ნინო ლოცვად და ვედრებად ღუთისა მიმართ მყოვარ ჟამ, და მოიღო ჯუარი იგი, რომელი აქუნდა, და შეახო თავსა და მხართა, სახედ ჯუარისა, და მეყუსე-ულად განიკურნა, და აღდგა განცოცხლებული, ჰრწმენა ქრისტე და თქუა: ,,არა არს ღმერთი, თვინიერ ქრისტესსა, რომელსა ჰქადა-გებს ტყვე ესე დედა-კაცი.“ და მიერითგან შეიქმნა იგი მეგობრად თჳსად შინაურად, და მარადის ჰკითხავნ და გამოიწულილავნ სჯულ-სა ქრისტესსა, და ასწავებს წმიდა ნინო და აბიათარ, ახალი პავლე,

და ასული მისი სიდონია: და იქმნა დედოფალი მორწმუნე და იცნა ღმერთი ჭეშმარიტი, და ჰკითხვიდა დედოფალსა მეფე. „ვითარ იგი მეყუსეულად განიკურნე." და უთხრობდა დედოფალი ყოველსა მას რომელი იქმნა მის ზედა, ვითარ თვინიერ წამლისა, ლოცვითა ნინოსითა და შეხებითა ჯუარისათა, განიკურნა. და სიმრავლე იგი ერთა, რომელთა ეხილვა, დაამტკიცებდეს სიტყუასა დედოფლისასა.

მაშინ მირიან მეფე განკვირდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა, და მარადის ჰკითხავნ ურია ყოფილსა მას აბიათარს ძველთა და ახალთა წიგნთასა, და იგი აუწყებდა ყოველსა: და შექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა. არამედ ჰბრძოდა მტერი იგი უჩინო, და აყენებდა აღსარებასა ქრისტესსა, გულსა შთაუგდებდა სასოებასა კერპთასა და ცეცხლისასა: არამედ დედოფალი მარადის ევედრებოდა აღსარებასა ქრისტესსა, და იყო მეფე დედოფლისა მოქცევითგან წელიწდის ერთისა ორგულებასა შინა:

ხოლო ასწავებდა ერსა დაუცხრომელად წმიდა ნინო, და არა ვის აუწყებდა, თუ „ვინ ვარ, ანუ სადათ მოველი," არამედ ტყვედ იტყოდა თავსა თჳსსა: შემდგომად ამისსა მოგვი იგი მთავარი სპარსი, სახელით სვარასნელი იყო, სულითა უკეთურითა ფიცხელად იგვემებოდა, და სიკუდილსა მოახლებულ იყო, და იყო მთავარი იგი ნათესავისაგან მირიან მეფისა. მაშინ ევედრნეს წმიდასა ნინოს ნანა დედოფალი, და მეფე იხილვიდა საქმესა მისსა მცირედ ორგულებით. ეტყვინ წმიდასა ნინოს: „რომლისა ღმრთისა ძალითა იქმ კურნებასა ამას: ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი, და უცხოებით მოხვედ, და შეურდი, და ზედა-ც მათ წყალობა შენი, და მიგანიჭეს ძალი კურნებათა, რათა მით სცხოვნდებოდი უცხოსა ქვეყანასა, და დიდებულმცა არიან უკუნისამდე: ხოლო შენ წინაშე ჩვენსა იყავ ვითარცა ერთი მაწოვნებელი შვილთა ჩვენთაგანი, და პატივ-ცემული ქალაქსა ამას შინა. არამედ უცხოსა ამას სი-

ტყჳსა ნუ იტყვი. ჰრომთა მათ შეცთომილსა სჯულსა ნუ გნებავს ყოვლადვე თქმად. რამეთუ აჰა ესე რა ღმერთნი დიდნი, სოფლის-მპყრობელნი, მზის მომფენელნი, წვიმის მომყჳანებელნი, ქჳეყა-ნით ნაყოფთა აღმომყჳანებელნი, გამომზრდელნი ქართლისანი, არ-მაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამომეძიებელნი, ძველნი ღმერთნი მამათა ჩვენთანი, გაცი და გაიმ, იგინი იყჳნენ სარწმუ-ნებელად კაცთა მიმართ, და უკეთუ განჰკჳრნო შენ მთავარი ესე, განგამდიდრო და გყო შენ მკვიდრ მცხეთას შინა, მსახურად არმა-ზისა. დაღაცათუ ჰაერითა და სეტყვითა მოიწია მას ზედა შემუსრ-ვა მისი, არამედ ადგილი იგი უძრავ არს, და ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ესე ყოვლადვე მტერ არიან. ამან ზღჳა შემოადგინა ზედა, და მან ამას ზედა ესე ვითარი ურვა მოაწია, ვითარ აქჳს ჩჳეულება სოფლის-მპყრობელთა, და კმა გვეყავს ჩემგან ბრძანება ესე.“

მიუგო წმიდამან ნინო: „შენ მეფე, სახელითა ქრისტესითა, და ვედრებითა დედისა მისისათა, და მისთა ყოველთა წმიდათათა, მოავლინენ შენ ზედა ღმერთმან ცისა და ქჳეყნისა შემოქმედმან, დამბადებელმან ყოვლისა დაბადებულისამან, დიდისა, დიდებულისა და აურაცხელისა მისისა მრავალ-მოწყალებისაგან, მოგივლინენ შენ, ვითარცა სასმილისაგან ნაბერწყალი ერთი მადლისა მისისა, რათა სცნა და გულის-ხმა ჰყო სიმაღლე ცისა და ნათელი მზისა, სიღრ-მე ზღვისა სამირკელისა და სივრცე ქჳეყანისა, და საფუძველი მი-სი. და უწყებულ იყავნ, მეფე, ვინ შემოსნის ცანი ღრუბლითა და ქუხან ხმითა ჰაერისათა, და იძრვინ ქჳეყანა სიმძაფრითა, და ჰრ-ბინ მეხის ტეხანი, და ყოველსა მთასა ეგზების გულის-წყრომითა მათითა. ანუ ოდეს შეიძრას ყოველი ქვეყანა, ვიდრემდის დაირღვი-ონ მთანი და მყარნი, კლდენი და ქჳანი, და მეცნიერ იყავნ შენ ამას ყოველსა მიწევნად. რამეთუ ღმერთი ცათა შინა უხილავ არს თავადი იგი, ყოველთა დაბადებულთაგან, თვინიერ ძისა მისისა,

რომელი მისგან გამოვიდა, ქუეყანასა ზედა გამოჩნდა ვითარცა კა-
ცი, რომელმან აღასრულა ყოველი რომლისა-თჳს მოსრულ იყო, და
აღვიდა მათვე სიმაღლეთა მამისათა: და ისილე რამეთუ დაუსაბამო
იგი მხოლო მაღალჲ არს და მდაბალთა ხედავს, და მაღალნი იგი
შორით იცნის. მეფეო, ახლოს არს მიახლება შენი ღ̃თისა, მისედ-
ვად, რომელი არს ქალაქსა ამას შინა, სასწაული ერთი, სამოსელი
მისა ღ̃თისა აქა არს, და ხალენი მის ელიასი აქავე არს ყოფა,
და სასწაულნი არიან, რომელნი ღმერთმან გამოაჩინნეს. თუ არა
მე კუალად მთავარი ესე შენი განჰკურნო სახელითა ქრისტეს ჩემი-
სათა და ჯუარითა ვნებისა მისისათა, ვითარცა იგი დედოფალი ნანა
განიკურნა სენისაგან დიდისა: რა იგი ვაუწყე მას, ჰყოს იგი, რა-
თა სულიცა თჳსი განაბრწყინვოს და ერიცა თჳსი მიეახლოს ღმერ-
თსა:“ და მიჰგუარეს მას მთავარი იგი და მოვიდა ნანა დედოფა-
ლიცა სამოთხესა მას შინა, ნაძუთა მათ ქუეშე, დაადგინა იგი აღ-
მოსავალით და აპყრობად სცა ხელნი, და ჰრქუა მას სამ-გზის: „ვი-
ჯმნი შენგან, ეშმაკო, შეუვრდები ქრისტესა, ძესა ღ̃თისასა:“ და
სტიროდა ნინო სულ თქმითა თვისითა, და ითხოვდა ღ̃თისაგან
შეწევნასა კაცსა ამას ზედა, და იყუნეს მოწაფენი მისნი მუნვე ერთ
დღე და ორ-ღამე, და მწრაფლ განვიდა მისგან სული იგი ბორო-
ტი, და დაემოწაფა ნინოს სახლეულით და ერითურთ მისით, და
ადიდებდეს მამასა, და ძესა, და სულსა წმიდასა:“

და იყო დღესა ერთსა ზაფხულისასა, თუესა ივლისსა ოცსა,
დღესა შაბათსა, განვიდა მეფე მირიან ნადირობად მუხნარით კერ-
ძო, და მოუხდა უჩინო იგი მტერი ბოროტი, ეშმაკი, და შთაუგ-
დო გულსა სიყუარული კერპთა და ცეცხლისა, და იგონებდა ყო-
ველსა მსახურებასა მათსა და მახვილითა მოწყუედასა ყოველთა ქრი-
სტიანეთასა: და ჰრქუა მეფემან ოთხთა თანა-მზრახველთა მისთა:
„ღირს ვართ ჩვენ ღმერთთაგან ჩვენთა ბოროტის ყოფასა, რამე-

თუ უდებ ვიქმნენით მსახურებისაგან მათისა, და მიუშვით ჩუჱნ
ქრისტიანეთა გრძნეულთა ქადაგებად სჯულსა მათსა ქუეყანასა ჩუჱნ-
სა. რამეთუ გრძნებითა ჰყოფენ საკვირველებათა მათ: აწ ესე არს
განზრახუა ჩემი, რათა ბოროტად მოსრნეს ყოველნი მოსავნი ჯუარ-
ცმულისანი, და უმეტესად შეუდგე მსახურებასა ღმრთისასა, მათ
მპყრობელთა ქართლისათა. ვამხილოთ ნანას, ჩემსა ცოლსა, შენა-
ნება, და დატევება სჯულსა ჯუარ-ცმულისასა, და თუ არა მერჩდეს,
დავივიწყო სიყუარული მისი, და სხუათავე თანა წარვჰსწყმიდო იგი-
ცა:“ დაუმტკიცეს განზრახუა მისი თანა მზრახველთა მათ, რამეთუ
მხურვალედ იყუნეს იგინი საქმესა ამას, და ნებავდათ პირველითგან,
და ვერ იკადრებდეს განცხადებულად: ხოლო მეფემან მოვლო ყო-
ველი სანახები მუხნარისა, და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა, მა-
ღალსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლის-ციხედ: განვიდა თხემ-
სა მთისასა, შუა სამხრის ოდენ, დაუბნელდა მათ ზედა მზე და
იქმნა ღამე ბნელი, უკუნი, და დაიპყრა ბნელმან არენი და ადგილ-
ნი. განიბნივნეს ურთიერთარს ჭირისაგან და ურვისა: და დაშთა
მეფე მარტო, და იარებოდა მთათა მაღნართა, შეშინებული და შე-
ძრწუნებული, და დადგა ერთსა ადგილსა, და წარეწირა სასოება
ცხოვრებისა მისისა: და ვითარცა მოეგო თავისა ცნობასა, და გა-
ნიზრახვიდა ესრეთ გულსა შინა თჳსსა. „აჰა ესერა ვხადე ღმერთ-
თა ჩემთა, და არა ვპოვე ჩემზედა ლხინება. აწ რომელსა ქადაგებს
ნინო, ჯუარსა და ჯუარ-ცმულსა, და ჰყოფს კურნებათა მისითა სა-
სოებითა, არამცა ძალ-ედვა ხსნა ჩუჱნი ჭირისა ამისგან. რამეთუ
ვარ მე ცოცხლივ ჯოჯოხეთსა შინა, ვერა უწყი, თუ ყოვლისა ქუე-
ყნისა-თჳს იქმნა დაქცევა ესე და ნათელი ბნელად გარდაიქცა, და
თუ ჩემთჳს ოდენ: აწ თუ ჩემთჳს ოდენ არს ჭირი ესე, ღმერ-
თო ნინოსაო, განმინათლე ღამე ესე და მიჩვენე საყოფელი ჩემი,
და აღვიარო სახელი შენი, აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყუანის-

ვჰსცე მას, და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოსსა სჯულსა ზედა ჴრომთასა.“

„ესე ყოველი რა წარმოსთქჳა, განთენა და გამოუბრწყინვა მზე, და გარდამოვიდა მეფე ცხენისაგან, და დადგა მას ადგილსა: განიპყრნა ჴელნი აღმოსავალით და თქჳა:“ შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა, და უფალი ყოველთა ზედა უფლებათა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვის, და საქებელ არს სახელი შენი ყოვლისა დაბადებულისაგან, ცასა ქვეშე, და ყოველსა ქვეყანასა ზედა. რამეთუ შენ მიხსენ მე ჭირისაგან და განმინათლე ბნელი ჩემი: აჰა ესერა მიცნობიე“, რამეთუ გინდა ხსნა ჩემი და ლხინება, და მიახლება შენდა: უფალო კურთხეულო, ამას ადგილსა აღვმართომელი ჯჳარისა, რომლითა იდიდებოდეს სახელი შენი, და იხსენებოდეს საქმე ესე და სასწაული უკუნისამდე:“ და ისწავა ადგილი იგი, და წარმოემართა, და იხილა ერმან მან ნათელი და გამოერთნენ ერი განბნეული, ხოლო მეფე ღაღადებდა: „მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება ყოველმან ერმან, რამეთუ იგი არს ღმერთი საუკუნეთა, და მას მხოლოსა შვენის დიდება უკუნისამდე:“

ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ერი განვიდეს მიგებებად მეფისა. რამეთუ ესმა პირველ წარწყმენდა, და კვალად მოსლჳა დიდებით, და მიეგებოდეს ქინძარას და ღართას: ხოლო ნეტარი ნინო დადგრომილ იყო ლოცჳასა მწუხრისასა, მაყლოვანსა მას შინა, ჩჳეულებისა ებრ მისისა, ჟამსა თჳსსა, და სხვანი მისთანა ორმეოც და ათი სული: და იყო ვითარცა შემოვიდა მეფე, აღიძრვოდა ქალაქი, და ხმითა მაღლითა ღაღადებდა მეფე: „სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩემი და ღმერთი მისი მხსნელი ჩემი?“ ვითარცა ესმა, თუ „აქა მაყლოვანსა არს და ილოცავს,“ მოდრკა მეფე და ყოველი იგი ლაშქარი: მოვიდა და გარდაიჭრა სასედრისაგან და ეტყოდა ნინოს: „აწ ღირს მყავ სახელის-

დებად სახელსა ღჳთისა შენისასა და მხსნელისა ჩემისასა:“ ხოლო წმიდა ნინო ასწავებდა და აწვევდა მსწრაფლ თაყჳანის ცემად აღმოხსვალით და აღსარებად ქრისტეს ღჳთისა. მაშინ იქმნა გჳრგვინვა და ტირილი ყოვლისა კაცისა, ოდეს ხედვიდეს მეფესა და დედოფალსა ცრემლოსანთა. და ხვალისა დღე წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად მირიან მეფემან წინაშე კონსტანტინე მეფისა, და წიგნი ნინოსი, ელენე დედოფლისა წინაშე, და აუწყეს ესე ყოველი სასწაული ქრისტეს-მიერი, რომელი იქმნა მცხეთას შინა, მირიან მეფესა ზედა, და ითხოვნეს მოსწრაფებით მღჳდელნი, ნათლისღებისათჳს. ხოლო წმიდა ნინო და მოწაფენი მისნი ქადაგებდეს ერსა მას შინა დღე და ღამე დაუცხრომელად, და უჩვენებდა გზასა ჭეშმარიტსა სასუფეველისასა:“

ოდეს წარემართა მეფე და ყოველი ერი ქრისტიანობასა მოსწრაფებით, ვიდრე მღჳდელთა მოსლჳადმდე, რქჳა მეფემან წმიდასა ნინოს: „მესწრაფების მე აღშენებად სახლსა ღჳთისასა. სადა უშენოთ:“ ჰრქჳა ნინო: „სადაცა მთავართა გონებას მტკიცე არს:“ ჰრქჳა მას მეფემან: „მიყვარან მე მაყვალნი ესე შენნი, მნებავს მე გონებისა ებრ ჩემისა, გარნა არა ესე რა, არამედ არა ვრიდო სახოთხესა ამას სამეფოსა და ნაძჳთა ამათ სიმაღლესა, და ბაბილოთა ამათ ნაყოფიერებასა, და ყჳავილთა სურნელებასა. რამეთუ ჩვენებასა, რომელი იხილე შენ, მფრინველთა მათ ფრთითა უშვერთა განბანა წყლითა და განსპეტაკება ბრწყინვალედ, და დასხდომა ხეთა მათ ზედა სამოთხისათა, და სმობა მათი ხმითა ტკბილითა, ჭეშმარიტად სამოთხე ესე სოფელი და წარმავალი შეგვეცვალოს ცხოვრებად საუკუნოდ, და მუნ აღვაშენოთ სახლი ღჳთისა, სალოცველად ჩვენდა, ვიდრე მოსლჳადმდე ჩემდა მღჳდელთა საბერძნეთით.“ და მეყჳსეულად მოიღო ძელი და ასწავებდა სუროთა, და მოჭკჳრთა ნაძვი იგი, და ნაძვისა მისგან შემზადნა შვიდნი სვეტნი

ეკკლესიისანი. და ვითარ აღაშენეს კედელნი იგი ძელითა, და აღმართინეს ექუსნი იგი სვეტნი თჳს-თჳსად. ხოლო სვეტი იგი უდიდესი, რომელი საკჳრველ იყო ხილვითა, საშუალ ეკკლესიისა შესადგმელად განმზადებული, ვერ შეუძლეს აღმართებად მისსა, და აუწყეს მეფესა საკჳრველი იგი, ყოვლადვე ვერ ძრვა ადგილითცა სვეტისა მის: მაშინ მოვიდა მეფე, სიმრავლითა ერისათა, და მოესხუნეს მრავალ-ღონენი მანქანანი, სიმარჯვითა და ერისა სიმრავლისა ძალითა ეცადნეს აღმართებად, და ვერ შეუძლეს.

და იყო დაკჳრვებულ მეფე და სიმრავლე ერისა და იტყოდეს: ,,რამე არს ეს:“ და ვითარ იყო მწუხრი, წარვიდა მეფე სახლად თჳსად, შეწუხებული დიდად: ხოლო წმიდა ნინო და ათორმეტნი მოწაფენი მისნი დედანი დაადგრეს სვეტისა მისთანა: ხოლო იგი სანატრელი გოდებითა სვეტსა მას ზედა დაადინებდა ცრემლთა: ვითარცა შუა ღამე ოდენ იყო, წარმოიქცეს ორნივე მთანი არმაზი და ზადენი, რეცა-თუ ჩამოირღვიეს და დააყენეს წყალნი ორათვე: და მტკუარმან გარდამოხეთქა და წარჰქონდა ქალაქი. და შეიქმნეს ხმანი საზარელნი, ტყებისა და გოდებისანი, ეგრეთვე არაგვი გარდამოხდა ციხესა ზედა, და იქმნებოდეს საზარელნი გრგვინვანი. შეშინდეს დედანი და ივლტოდეს, ხოლო ნეტარი იგი ღაღადებდა: ,,ნუ გეშინინ, დანო ჩემნო, მთანი მუნვე ჰგიან, და წყალნი მუნვე დიან, და ერსა ყოველსა სძინავს:“ ხოლო ესე რომელ რეცა მთანი დაირღვიეს სამართლად გეჩუენების, რამეთუ ურწმუნოებისა მთანი დაირღვიეს ქართლს შინა, და წყალნი რომელ დააყენეს, სისხლნი იგი ყრმათა კერპთა მიმართ შეწირვისა დაეყენოს: ხოლო ხმა ესე ტყებისა არს ეშმაკთა სიმრავლისა, რამეთუ იგლოვენ იგინი თავსა თჳსსა, რომელნი არიან მეოტ ამით ადგილით, ძალითა მაღლისათა და ჯუარითა ქრისტესითა: მოიქეცით და ილოცევდით ღმრთისა მიმართ:“ მეყსეულად დასცხრეს ხმანი იგი, და იყო არა-რა.

და დადგა წმიდა ნინო, განჰპყრნეს ჴელნი და ილოცვიდა ღუთისა მიმართ, და იტყოდა: „რათა არა დაებრკოლოს საქმე ესე რომელსა წარმართებულ არს მეფე:" და ვიდრე არა ეყივლა ქათამსა სამთავე კერძოთა ქალაქისათა დაჰსცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან, და დაჰლეწნეს კარნი, და აღივსო ქალაქი სპარსითა ლაშქრითა, და შეიქმნა ზარის სახდელი ზრზინვა, და ყივილი და კლუა, და სისხლი დიოდა, და აღივსო ყოველი ადგილი, და მოვიდა მათდა სიმრავლე, ზახილითა და მახვილითა, და სხვათა მათ შიშისაგან დადნებოდნეს ხორცნი და განილია სული მათი. ტიროდეს ნათესავთა მათთვის: და მწრაფლ ისმოდა ჰსმობდეს რა ძლიერად: „მეფე სპარსთა, ხვარა ჰბრძანებს, და მეფეთა მეფე ხუარან-ხვასრა: ყოველი ურია განარინეთ პირისაგან მახვილისა:" ესე რა ისმა შეორგულდა სიდონია და ათნი იგი მისთანანი, და მოასლებულ იყუნეს მახვილოსანნი გარემოს მათსა სცემდეს დ კლვიდეს.

და ისმა ხმა ძლიერი: „მირიან მეფე შეიპყრესო:" გარე მოისილა მხნემან მოღუაწემან, დ თქუა: „ესე რომელი ყივის, ვიცი რომელ აწ სადამე დიდად ჰსჭირს, და ჰმადლობდით ღმერთსა, რომელ ესე ნიში მათისა წარწყმედისა არს და ქართლის ცხოვრებისა, და ამის ადგილისა დაბისა, და ნუგეშინის ჰსცემდა ვითარცა მოძღუარი სულოვანი, ჭეშმარიტად მოძღუარი და მოციქული სანატრელი. მიექცა ერსა მას მომსრუელსა, დ ჰრქუა: „სადა არიან მეფენი სპარსთანი, ხუარა და ხუარან ხუასრა. სამასტანით გუშინ წარმოხუედით, მალე მოხუედით. დიდი სადამე ლაშქარი სართ და ძლიერი, რად დალეწეთ ქალაქი ესე, და მახვილი დაეცით. ქართა და ნიავთა წარჰგუალეთ, ბნელით ჩრდილოთ კერძო, მთათა და კედართა. აჰა მოვიდა რომელსა თქუენ ქველტით." და განიძრა ჴელი ჯუარის სახედ, და მეყუსეულად უჩინო იქმნეს ყოველნი იგი, და იქმნა დაყუდება დიდი, დ დედანი იგი ჰნატრიდეს მას დ ადიდებდეს ღმერთსა.

ხოლო ვითარცა ცისკარი აელებოდა მიერულა დედათა მათ, ხოლო სიდონია მღვიძარე იყო, და იგი დგა ხელ განპყრობით; აჰა ესერა ზედა მოადგა ჭაბუკი ერთი ნეტარსა მას, ყოვლად ნათლითა შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლისა ზეწარითა, და ჰრქუა რამე სამნი სიტყუანი: ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა, და ჭაბუკმან მან მიჰყო ხელი სჳეტსა მას და აღამაღლა, და წარიღო სიმაღლესა შინა, და განკვირვებული მიეახლა სიდონია, და რქუა ესრეთ: „დედოფალო, რა არს ესე.“ ხოლო მან მრქუა: „მოიდრიკე თავი ქუეყანად,“ და ტირილად იწყო ზარისა მისგან. და მცირედისა ჟამისა შემდგომად აღდგა და აღადგინა, და განეშორნენ მას ადგილსა. ხოლო დედანი ვითარ იყუნეს კიდე, აჰა იხილეს მათცა სვეტი იგი, ცეცხლის სახედ ჩამოვიდა და მოეახლა სარისხსა მას და დადგა, აღშორებულად ქვეყანით, ვითარ ათ ორმეტ წყრთა, და ნელიად ნელიად ჩამოიცვალებდა სარისხად თჳსად მოხაკვეთსა და ძირსა მისვე ნაძვისასა. ვითარცა რიყრაყი ოდენ იყო, აღდგა მეფე გულ-გოდებული ურვათაგან, მიხედნა სამოთხესა დაწყებულსა მას ეკკლესიასა, და იგი მტკიცე იყო გონებითა, იხილა ნათელი ვითარცა ელვა აღწევნული ცად, სამოთხით მისით. იწყო სრბად და მკვირცხლ მოვიდოდა, და ყოველი სიმრავლე სახლისა მისისა და ყოველი ერი ქალაქისა მივიდა. ვითარცა იხილეს საკვირველი იგი, ნათლითა ბრწყინვალე სვეტი ჩამოვიდოდა ადგილად თჳსად, რეცა ვითარცა ზეცით, და დადგა სარისხსა მას ზედა, დაემყარა ხელით შეუხებლად კაცთაგან: და ნეტარ იყო მას ჟამსა შინა, რამეთუ რა იგი იქმნებოდა შიშითა და სიხარულითა აღივსო მცხეთა ქალაქი და დიოდეს მდინარენი ცრემლთანი, მეფეთა და მთავართა, და ყოველსა ერსა; სულ თქმით სულისა მათისათა ადიდებდეს ღმერთსა, და ჰნატრიდეს წმიდასა ნინოს, და იქმნეს სასწაულნი დიდნი მას დღესა შინა.

,,და მიიწივნეს მოციქულნი მირიან მეფისანი წინაშე კონსტანტინე მეფისა, და მიუთხრეს ყოველი რაჲცა იქმნა. მაშინ აღივსო სიხარულითა მეფე და დედა მისი ელენე დედოფალი, პირველად ამისთჳს, რამეთუ მადლი ღუ̂თისა მიეფინებოდა ყოველთა ადგილთა, და ხელსა მათსა ქუ̂ეშე ნათელ-იღებდა ყოველი ქართლი. და შემდგომად ამისთჳს განმხიარულდეს, რამეთუ დაადასტურეს მირიან მეფისაგან სრულიად მოწყუედა სპარსთა და მტკიცედ მიღება სიყუ̂არულისა მათისა: და ჰმადლობდეს ღმერთსა და წარმოგზავნეს მღუ̂დელი ჭეშმარიტი, იოანე ეპისკოპოსი, და მისთანა მღუ̂დელნი ორნი და დიაკონნი სამნი, და მიუწერა მეფემან კონსტანტინე მირიანს წიგნი ლოცვისა და კურთხევა ღუ̂თისა, მადლობისა, და წარმოსცა ჯუ̂არი და ხატი მაცხოვრისა, და მისთანა ნიჭი დიდი. და ელენე დედოფალმან მოუწერა წიგნი ქებისა და ნუგეშინის ცემისა. მოიწია ეპისკოპოსი, მღუ̂დელნი და მოციქულნი მცხეთად, და აღივსნეს სიხარულითა მეფე და ყოველი ერი მათი. რამეთუ სურვიელ იყუ̂ნეს ყოველნივე ნათლის-ღებისა-თჳს. მაშინ მსწრაფლ გაგზავნა ბრძანება მირიან მეფემან ყოველთა ერის თავთა თანა, სპასალართა და ყოველთა პირთა სამეფოსათა, მოწოდებად წინაშე მისსა, და მსწრაფლ მოიწივნეს ყოველნი ქალაქად.

მაშინ ნათელს-იღო მეფემან ხელსა ქუ̂ეშე წმიდისა ნინოსსა, და შემდგომად დედოფალმან და შვილთა მათთა, ხელთა ქუ̂ეშე მათ მღუ̂დელთასა და დიაკონთასა. და შემდგომად ამისსა აკურთხეს მდინარე მტკუ̂არი, და ეპისკოპოსმან შემზადა ადგილი ერთი, მიწურვითა ხიდისა კარსა მოგვთისასა, სადა ყოფილ-იყო სახლი ელიოზ მღუ̂დლისა, და მუნ ნათელს-სცემდა წარჩინებულთა ერისათა, და ეწოდა ადგილსა მას მთავართა სანათლავი. ხოლო ქუ̂ემოთ მისსა, მდინარისავე პირსა, ორნი იგი მღუ̂დელნი და დიაკონნი ნათელს-სცემდეს ერსა, და მიატყუდებოდა ერი იგი ურთიერთ-არს,

მოსწრაფებით ეუბნებოდეს მღჳდელთა, რათა პირველად მასვე ნა-
თელ-სცეს. და ესრეთ სურვიელ იყო ერი იგი ნათლის-ღებისა-თჳს,
რამეთუ ესმინა ქადაგება წმიდისა ნინოსი, რომელსა იტყვინ: ,,ყო-
ველმან რომელმან არა ნათელს-იღოს, არა ჰპოვოს მან ნათელი სა-
უკუნო.‘‘ და ამის-თჳს მოსწრაფე იყჳნეს ნათლის-ღებად ყოველნი
იგი, და ესრეთ სახედ ნათელს-იღეს ყოველმან ერმან და სიმრავ-
ლემან ქართლისამან. ხოლო წმიდა ნინო წარემართა წარსლჳად
რანს, მოქცევად ფეროზისსა. და ვითარცა მიეახლა კუხეთს, დაბა-
სა ბუდისასა, დაყვნა მუნ დღენი, და მოვიდოდეს მისსა კახეთით,
ჰკითხვიდეს და აღიღებდეს სწავლასა მისსა სიმრავლე ერისა. მაშინ
დასნეულდა მუნ, და ვითარცა სცნა რევ, ძემან მეფისამან, და სალო-
მე, ცოლმან მისმან, რომელნი ცხოვნდებოდეს უჯარმოს, მოვიდეს
ნინოსსა, და აცნობეს მეფესა და დედოფალსა. ხოლო მათ მიავ-
ლინეს ეპისკოპოსი იოანე წარმოყჳანებად. წმიდა ნინო არა ურჩდა.
ხოლო წარვიდა თჳთ მეფე და სიმრავლე ერისა ძლიერისა, და მი-
ვიდეს მის ზედა, და შეკრბა სიმრავლე ერთა, და ხედვიდეს ყოვ-
ლივე იგი ერი პირსა ნინოსსა ვითარცა ზეცისა ანგელოზისსა, და
მოსწყვედიან ფესვსა სამოსლისა მისისასა, მიიღებდეს და ემთხვე-
ოდეს სარწმუნოებით, და იძულებით ევედრებოდეს ყოველნი დედო-
ფალნი, გარემოს მსხდომნი, რომელთა მოსდიოდეს ცრემლნი თჳალ-
თაგან მათთა, განშორებისათჳს მოძღჳრისა მის და მოღჳაწისა, ქ
სნეულთა მკურნალისა ხელოვანისა და ეტყოდეს სალომე უჯარმე-
ლი, ჰეროჟ ავრისვნელი და მათ თანა ერის-თავნი და მთავარნი,
ჰკითხვიდეს, თუ ,,ვინა ანუ ვითარ მოხჳედ ქვეყანასა ამას მაცხოვა-
რებად ჩჳენდა, ანუ სადათმე იყო აღზრდა შენი, დედოფალო. მა-
უწყე ჩჳენ საქმე შენი, რასა იტყვი ტყვეობასა, ტყვეთა მხსნელო
სანატრელო, რამეთუ ესერა გვისწავიეს შენ მიერ, ვითარმედ ყო-
ფილ არიან წინასწარმეტყველნი პირველ ძისა ღჳთისა, და შემდგო-

მად მოციქულნი ათ‿ორ‿მეტნი, და სხჳანი სამ‿ოც და ათ‿ორ‿მე-
ტნი. ჩჳჱნდა არავინ მოავლინა ღმერთმან სხჳა, გარნა შენ, და შენ
ვითარ იტყჳ, ვითარმედ მე ტყჳჱ ვარ, ანუ ვითარ უცხო:“

ხოლო მაშინ იწყო სიტყჳს წმიდამან ნინო და სთქჳა: „ასულ-
ნო სარწმუნოებისანო, მასლობელნო დედოფალნო ჩემნო, გხედავ
თქჳჱნ, ვითარცა პირველთა მათ დედათა ყოველთა, სარწმუნოება-
სა და სიყჳარულსა ქრისტესსა, და გნებავს გზათა ჩემთა ცნობაჲ,
გლახაკისა მხევლისა, და გაუწყოცა. რამეთუ ესერა მოხრულ არს
ხული ჩემი ხორხად ჩემდა, და მეძინებიან მე ძილითა დედისა ჩე-
მისათა საუკუნოდ. არამედ მოიხსენით საწერელნი და დასწერეთ
გლახაკი და უდები ცხოვრება ჩემი, რათა უწყოდიან შვილთაცა
თქჳჱნთა სარწმუნოება თქჳჱნი და შეწყნარება ჩემი, და სასწაულ-
ნი ღ̃თისანი, რომელ გიხილავნ.“ მაშინ მსწრაფლ მოიხუნეს სა-
წერელნი სალომე უჯარმელმან და ჰეროჟ ავრისვნელმან: იწყო სი-
ტყჳად და იგინი სწერდეს, და წარმოუთხრა ყოველი, რომელი ზე-
მოთ დავწერეთ, ცხოვრება მ..ს წმიდისა და ნეტარისა. და შევე-
დრა მეფესა იაკობ მღჳდელი, რათა შემდგომად იოანესსა იგი იყოს
ეპისკოპოს: მაშინ იოანე ეპისკოპოსმან შესწირა ჟამი და აზიარა
წმიდა ნინო კორცსა და სისხლსა ქრისტესსა. და შევედრა სული
მეუფესა ცათასა, ქართლად მოსლვითგან მისით მეთოთხმეტეს წელ-
სა, და ქრისტეს ამაღლებითგან სამ‿ას ოც და თჳრამეტსა წელსა,
და დასაბამითგან წელთა ხუთი‿ათ‿ას რვა ას‿ოც და ათ რვა მეტ-
სა: მაშინ შეიძრნეს ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთა და უჯარმო, და
ყოველი ქართლი, მიცჳალებასა მისსა. მივიდეს და დამარხეს ძლე-
ვით შემოსილი გჳამი მისი ადგილსავე ზედა ჰერეთისა, დაბასა ბუ-
დისასა. რამეთუ მუნ ითხოვა თჳთ დაფლჳა მეფისაგან, შესხედვითა
ღ̃თისათა: და სიმდაბლისა‿თჳს ჰქმნა ესე წმიდამან, რამეთუ ად-
გილი იგი შეურაცხი იყო. და მწუხარე იყო მეფე, და ყოველნი

წარჩინებულნი მუნ დაფლჳასა მისსა. არამედ მცნებისა და ანდერძისა მისისა აღსრულებისა-თჳს დაფლეს მუნ.

და ვითარ აღესრულა ესე ყოველი, და განემტკიცა ყოველი ქართლი სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა, ღ̃თივ-განბრძნობილმან მირიან მეფემან მოიყჳანა მე თჳსი ბაქარ და უთხრა: ,,აჰა ესერა მე წარვალ ვინაცა მოვედ, და ვმადლობ მრავალ-მოწყალესა ღმერთსა, რომელმან მიჴსნა მე პირისაგან ჯოჯოჴეთისა, და ღირს-მყო მარჯუენით მისთანა; ხოლო შენ, შვილო ჩემო, იღვაწე საფლავისათჳს ნინოსა, განმანათლებელისა ჩ̃ჳნისა, რათა არა შეირყიოს ადგილი იგი უკუნისამდე ჟამთა შეცვალებისათჳს, რამეთუ ღირს არს პატივის-ცემისა.“ და ესრეთ დაცულ-არს იგი უვნებელად ვიდრე აქამომდე მადლითა ღ̃თისა ჩ̃ჳნისათა, რომელსა შუენის მადლობა და დიდება უკუნითი უკუნისამდე.

---

# ს ი ტ ყ ჳ ა

## დღესა ახლისა წელიწდისასა. (*)

---

მივბაძავ რა ძველსა საზოგადო ჩჳეულებასა, მსმენელნო ქრისტიანენო, მოვისწრაფვი მეცა სახლსა შინა ღჳთისასა მლოცჳად თქჳენდა ახლისა ამის წელიწდისასა.

ყოვლის-შემძლებელმან ღმერთმან, რომელიცა მფლობელობითა თჳსითა მოაკჳდინებს და განაცხოველებს, შთაიყჳანს ჯოჯოხეთად და აღმოიყჳანს, დააგლახაკებს და განამდიდრებს, დაამდაბლებს და აღამაღლებს (1. მეფე 2, 6—8)—მან გაკურთხნეს თქჳენ თჳსითა მადლითა; განაგრძელოს დღენი ცხოვრებისა თქჳენისანი; ძალი მისი შემწე გეყოსთ უძლურებასა შინა თქჳენსა ღირსებით მსახურებად მისა, მეფისა, და მოყჳასთა; გარდამოავლინოს მან უხვად გულთა შინა თქჳენთა სიმართლე, მშვიდობა და სიხარული; უბრძანოს ანგელოსთა მფარველთა, რათა არა დასცხრნენ დაცჳად თქჳენდა განბოროტებისა და განსაცდელთა ბოროტთა ქრთა და ცუდთა ენათაგან; განანათლნეს გონებანი თქჳენნი ნათლითა მეცნიერებისა სახარებისა მისისათა, გულნი სიწმიდითა სიტყჳსა მისისათა, სულნი სიყჳარულითა ჯჳარისა მისისათა; აღავსნეს საუნჯენი თქჳენნი ყოვლითა უხვებითა და კეთილობითა; წარმართნეს სლჳანი თქჳენნი გზასა მშვიდობისასა; გყჳნეს მემკვიდრედ სასუფეველისა და თანა-ზიარად დიდებისა მისისა!

---

(*) თქმული თავადთ ორბელიანთ სასახლის ეკკლესიასა შინა 1-ს იანვარს 1866-ს წელსა.

ყოვლად-შემძლებელი, და ყოვლად-მოწყალე ღმერთი აღასრულებს კეთილსა წადილსა ჩუჱნსა თჳსის უტყუჱლის აღთქმისა ებრ: ''ითხოვდით და მოგეცეს თქუჱნ,, (მატ 7, 7). გარნა თანა გვაძს ხსოვნად: უკეთუ იგი გვაკურთხებს თჳსითა უხვითა მოწყალებითა, თანამდებ ვართ რათა ვიყუნეთ მადლობელნი კეთილითა ცხოვრებითა; უკეთუ მოგვანიჭებს დღეთა სიგრძესა, ჯერ-არს ჩვენდა მეცადინეობა რათა ღირსეულად განვმზადებდეთ თავთა ჩუჱნთა საუკუნოსა ცხოვრებისადმი; უკეთუ წარმართავს საქმესა ჩუჱნსა სამსახურსა შინა, არა ჯერ არს ამპარტავანება; უკეთუ მოგვანიჭებს ქუჱყნიერსა სიმდიდრესა, თანა-გვაძს რათა განუყოფდეთ არ მქონებელთა; უკეთუ მოგვანიჭებს დიდებასა და პატივსა, არა ჯერ-არს მაღლობა, არამედ სიმდაბლითა და სიმშვიდით კეთილს უყოფდეთ მოყუასთა ჩუჱნთა.

ამასთანავე შთავხედნეთ საუნჯეთა შინა გულისა ჩუჱნისათა, მოვიგონოთ ყოველივე ბოროტნი დ̃ კეთილნი საქმენი ჩუჱნნი, ქმნილნი წარსრულთა წლებთა შინა, ვინადგან დღევანდელი ესე დღე ცხადად გვიმტკიცებს ვითარ მოკლე არიან დღენი ცხოვრებისა ჩუჱნისანი და თვითოეული ჩვენგანი ერთითა ნაბიჯითა მიეახლა სიკუდილსა და საფლავსა, ვინადგან მოაკლდა ცხოვრებასა მისსა ერთი წელიწადი. ამისთჳს ბოროტნი საქმენი განვაგდოთ და მოვიძულოთ ვითარცა წარმაწყმედელი და განმაშორებელი ღუთისაგან, და მივართუნეთ მათთჳს მხურვალე სინანული; ხოლო კეთილნი საქმენი ვიპყრათ საუნჯესა შინა გულისა ჩუჱნისასა და გამოვალებინოთ მრავალი ნაყოფი. რამეთუ მაცხოვარი ყოველ-დღე ღაღადებს და იტყვის: ''უკეთუ იყუნენ ცოდვანი თქუჱნნი ვითარცა ღებულნი ვითარცა თოვლი განვასპეტაკო. ამინ.

მღუდელი ბესარიონ ზედგინიძე.

# ჩჳჱნი დროების სასულიერო მწერლობაზედ.

## (მცირე შენიშვნა).

---

,,ჩჳჱნ განვთავისუფლდებით ვნებათა-
გან, როდესაც მათზედ ვფიქრობთ“.
ს პ ი ნ ო ზ ა.

გამოიცა სასულიერო ჟურნალი,—გაიღვიძა სასულიერო წოდების ხალხმაც. თითქმის სემინარიის უკანასკნელი მოწაფეც იმასა ცდილობს, რომ გაურიოს რამე ამ ჟურნალში თავის სახელზედ. ახალ კურსოვნიკებს ხომ, შეგვიძლიან ვსთქჳათ, პირველი ადგილი უჭირავსთ ჩჳჱნი დროების სასულიერო მოწერალთა შორის: ერთი სწერს კრიტიკას, მეორე სიტყჳას, მესამე სხჳა რომელსამე სტატიას. ენერგია არ აკლიათ, როგორც ვხედავთ, ამ ჩჳჱნ ყმაწვილ მწერლებს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს ყმაწვილი მწერლები გამოდიან სალიტერატურო ასპარეზზედ ხშირად სხჳა განზრახვით, და ამისა გამო დანიშნულება სასულიერო ჟურნალისა რჩება შეუსრულებელი.

დანიშნულება სასულიერო ჟურნალისა, როგორც გვაჩვენებს ამის წინა-სიტყჳაობა, მდგომარეობს იმაში, რომ დანერგოს კაცთა შორის გულის და სულის დამატკბობელი ცნობაები. ჩჳჱნ ყმაწვილ მწერლებს სრულებით არა აქჳსთ ეს სახეში; ესენი გამოდიან სალიტერატურო ასპარეზზედ უფრო იმისათჳს, რომ გაიგდონ სახელი, როგორც იტყვიან დაბიურად.—ხელთ-მძღვანველობენ რა

ამ ჰაზრით, ესენი ცდილობენ იმას, რომ აჩვენონ როგორმე საზოგადოებას თავიანთი თავი განათლებულად; ამისათჳს, დასხდებიან თუ არა შესადგენად რომლისამე სტატიისა, მაშინვე გაშლიან ჩუბინოვის ლექსიკონს და წინ დაიდებენ, მიჰყვებიან და, სამწუხაროდ ჩჳჱნდა, რაც უფრო ღრმა სიტყჳაა იმას ხმარობენ. ამას ჩჳჱნ ტყუილს არ ვამბობთ; ჩჳჱნ შეგვიძლიან წარმოუდგინოთ ამაზედ მკითხველს ცხადი ფაკტი, მაგრამ არა ვრაცხით საჭიროდ, რათამცა არა შერცხვნენ ახალ-ნერგნი სასულიერო მწერალნი.

სასულიერო ჟურნალი შეხება ყოველს: განათლებულსაც დ გაუნათლებელსაც, დიდსაც და პატარასაც, კაცსაც და ქალსაც;—მაშასადამე სტატიაც, გამომავალი ამ ჟურნალში, უნდა იყოს დაწერილი ისეთი ენით, რომ ეყურებოდეს თჳთოეულს ამათგანს. თუ არა და, ვინც კი სამი სიტყჳის ერთმანეთზედ გადაბმას ისწავლის, ყველა იმას ცდილობს დასწეროს რამე თარგამოსული ენით, რა არის განათლებული გამოჩნდეო. ეს სადაურია?! განა შეფერობს ეს სასულიერო მწერალს?—თუ ვინმე,—განსაკუთრებით სასულიერო მწერალი, რიგია, ერიდებოდეს ქვეყნიურს დიდებას, ერიდებოდეს ისე, როგორათაც ერიდება ურია ღორის ხორცს; თუ ვისმე,—განსაკუთრებით სასულიერო მწერალს უნდა ჰქონდეს ყოველთჳს სახეში მკითხველის უმეცრება დ საჭიროება.

მიხეილ გურგენიძე.

1866 წელსა, იანვრის
11 დღესა.

# ლ ე ქ ს ნ ი

## წმიდის მოციქულთა-სწორის ქართჳელთ განმანათ-ლებელის ნინას დღესასწაულზედ, იდ-ს იანვარსა.

---

წლითი წლად ვჰყოფთ ჩუენ, დღესასწაულსა,
მოციქულთ-ჰსწორის, დედის ნინასა.
ივერიელნი, მისგან რჩეულნი,
ნათლით ქრისტესა, განბრწყინვებულნი;
დედას ვაქებდეთ, ჩუენს მოღვაწესა,
ანდრიას შრომის, წარმმართებელსა;
სიტყვსა ღუთისა, მსახურთა თანა,
აღვსებულს ნათლით, მოციქულთ-თანა.
მოვედით ერნო, ამერ-იმერნო,
ორღანოს ხმითა, ნესტუთ დამბერველნო!
ცისკარი მზისა, ნინა შევამკოთ,
იესო ქრისტე, მის-მიერ ვაქოთ.—
ქართველთა ერი, კერპთ-მსახურობით,
უზორდა შვილთა, არას დაზოგვით;
ლომებრ ახოვნად, გამოსჩნდა ნინა,
თჳსთა თჳს თჳსნი, გამოაჩინა;
აღავსნა პართნი, სასწაულითა,
სატანის ცეცხლით, უკუნქცევითა;
წადდა ეხილვა, კვართი უფლისა,

ოდენ ყრმობითვე, ათ-ორ-მეტ-წლისა;
რაოდენ ემცნო, თჳსის მოძღვრისგან,
სახელ წოდებით, ნიან ფორას-გან:
ქრისტეს პორფირი, ყოვლად ქსოვილი,
აღმოსავლეთით, ქართლს წაღებული;
რაჟამს ჯვარს-ეცვა, ჩუენი უფალი,
თან იყო სხუებთან, ელიოზ წული,—
ვერ ვინ, იკადრა კვართის აღება,
ექმნათ მას ზედა, წილისა-გდება,—
ლამოდა იგი, მის აღებასა,
თჳთ მასვე ერგო, მას წილ-გდებასა.—
გულსა დაედვა, ესე სიტყუანი,
აღიგზნა ლოცვთ, მან გონებანი;
ნინა ევედრა, ღუთისა დედასა,
მეყავნ მოგზაურ, მას ქუეყანასა;
აღსდგა ძილისგან, გახარებული,
ნინას ეტვირთა, ჯვარი ცხოველი;—
ამით მოვიდა, მცხეთის ქალაქსა,
თჳთ მისწვდა იგი თავის სურვილსა;
ლოცვით დაჰყო მან დღე ღამ ყოველ-თჳს,
ემბაზი წმიდა, აღმოქმნა ჩუენ-თჳს.
ბელიარ დევნა, არმაზ,—ზადენით,
ელვა, ქუხილით, და მეხის ტეხით;
ლოცვით შემუსრნა, ბნელნი ბომონნი,
სასტიკის ქარით, მტვრად განბნეულნი;
ამას ხედვიდენ: მეფე მხლებლებით,
ნათესაობით, მცხეთელ წოდებით;
ივლტოდნენ მუნით, შეშინებულნი,

ნავთ-საყუდელად, შეძრწუნებულნი;
Ამისა შემდგომ, მეფემ ბრმად-ქმნულმან,
Ხახლში ვერ უსწრო, გზა-არეულმან;
Ვედრება მისი, ისმინა ღმერთმან,
Უარ-უთქმელად,—მეფე ქართუჱლმან,
Ძლევენი შემზადნა, მართლ-მორწმუნემან.
Ღაღად-ჰყო ხმითა: მრწამს მაცხოვარი,—
Ვიშვნეთ წყლისაგან, ვირწმუნოთ ჯვარი;
Ნინავ გვიოხე, წინაშე ღუთისა,
Iვერიელნი, ღირს-გვყვენ ნათლისა!—

მღუდელი იოელ ხატიევი.

1866.

ვაქირი.

---

# ჩემი ღამე.

---

ჩემსა ხაამოს ნათელსა ღამეს,
ოდესაც ყველა მთვარეს მდუმარეს
მთლად განენათლა არე მარენი,
და ცის ვარსკვლავნი დასნი და დასნი
ამკობდენ ცასა თჳსის შვენებით, —
მსურდა გაძღობა ჭაერის ტკბობით
და ველს გამოველ, მწვანითა მკულსა,
სადაცა კარგსა ბალახის სუნსა
ჭაერი სრულად შეექმნა ვარდად,
გულის და სულის ერთობ დამტკბობად
დიდ-ხანს უყურე ცისა შვენებას,
ვინატრდი იმა ნეტარს დროებას,
ოდესაც მუნა ქრისტეს სუფევას,
გავიგებთ ყველას ღ̂თისა დიდებას,
და მერმე ვუგდე ქვეყანას ყური,
არა იძროდა არა სჳლი დგმული,
ღრმას ძილს მოეცვა არსი ყოველი,
ჩუმობდა ერთობ სრულად სოფელი.

დავით ოდიშელიძე.

ჩყდე წელსა,
ნოემბრის 25 დღესა.

# გალობა ღმერთზედ.

ღმერთი არს ჩემი გამჩენი,
ყოველსა ჟამსა მფარველი,
მასწავეთ — მისი ადგილი,
გონებით მიუწთომელი! —
ჵი მეფეთა მეფეო,
სულთა და ხორცთა მიზეზო,
ყოველთაგან დიდებულო,
ურიცხვთა არსთა მამაო! —
შენ ხარ დაუსაბამო,
ცისა და ქუეყნის შემქნელო,
ყოვლის ცხოველის წყაროო,
ყოვლის არსების მფარეელო. —
გევედრები შემიწყალე,
ბოროტისაგან დამიფარე,
ლოცვა ჩემი შეიწყნარე
ვინადგან ხარ კაცთ-მოყვარე.
გლოცავ შენ მიუწთომელო —
ეს სასწაული მიჩვენო,
ყოვლის საქმის დაწყებაში
ბედნიერი ბოლო ვნახო!

დარისპან ლამბაშიძე.

1865-го года,
25 Октября.

# განცხადება

## ქართულის საპოლიტიკო და სალიტერატურო

## გაზეთის „დროების" გამოცემაზედ.

---

განათლებულს ქვეყნებში თითქმის ყოველი კაცი საჭიროთ რაცხს, რომ დაწვრილებით შეიტყობდეს არა თუ თავისის მამულის გარემოებას, არამედ სხვა ქვეყნების მდგომარეობასაც. ამისთვის იქ იბეჭდება მრავალი ჟურნალი და გაზეთი, რომელნიც ავრცელებენ საზოგადოებაში სხვა და სხვა ცნობასა.—ჩვენი გარემოება, ნამეტნავათ ახლანდელი, მოითხოვს, რომ ჩვენც ვტყობულობდეთ ჩვენის ქვეყნის ყოფაცხოვრებასა და აგრეთვე მმართებლობის განკარგულებებსა. გარდა ამისა, რადგანაც ჩვენი წარმატება დამოკიდებულია განათლებულის ხალხებისაგან შეძინებულს სწავლაზედ და იმათ ცხოვრებაზედ, ამისთვის, თუ გვსურს საკუთარი კეთილდღეობა, უეჭველათ იმათ უნდა ვბაძვიდეთ და იმათ სწავლას ვითვისებდეთ. ამ საქმეში პირველი შუამავლობა ეკუთვნის გაზეთებს და ჟურნალებს. ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ ვიკისრეთ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის გამოცემა ქართულს ენაზედ.

ამ გაზეთს ერქმევა სახელათ „დროება" და ექმნება შემდეგი ნაწილები:

1. მმართებლობის განკარგულებანი და ცნობანი რუსეთზედ და განსაკუთრებით ჩვენს მხარეზედ. ამ ნაწილში შემოვა კორრესპონდენციები ანუ სხვა და სხვა ადგილებიდამ გამოგზავნილი წერილები.
2. საპოლიტიკო ცნობები და ტელეგრამმები.
3. მეცნიერება და ხელოვნება. ამ ნაწილში დაიბეჭდება სტატიები, რომელნიც შეეხებიან ყოველ-გვარს სწავლას და შედგენილნი იქმნებიან ადვილ-გასაგონის ენით, აგრეთვე წმინდა-სალიტერატურო თხზულებები.
4. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ანუ გარკვევა ქართულის წიგნებისა და შესანიშნავის თხზულებებისა უცხო ენებზედ.
5. სხვა და სხვა ამბავი, ანუ მოკლე ცნობები, რომელნიც შეეხებიან სწავლას, ხელოვნებას, ალებ-მიცემობას, სოფლიურს მეურნეობას და ექიმობასა. — ფელეტონი.
6. სახაზინო და კერძოობითი განცხადებები.

შეძლებისამებრ „დროების" რედაქცია ეცდება თავისი პროგრამმა აასრულოს. მაგრამ რადგანაც გაზეთი ქართულს ენაზედ ახალი საქმეა და თვით პროგრამმაც ვრცელია, ამისთვის იმისი ასრულება საკუთარის ჩვენის ღონისძიებით ძალიან ძნელია. ამაში რედაქციას ისე თავის თავზედ არა აქვს იმედი, როგორათაც საზოგადოების შემწეობაზედ. ზოგიერთმა პირებმა კიდეც აღგვითქვეს თანამშრომელობა, და ეჭვი არა გვაქვს, რომ იმათ გარდა სხვანიც ბევრნი მიიღებენ მონაწილეობას თავიანთის შრომით ჩვენს გაზეთში.

„დროება" გამოვა ამ 1866 წლის მარტის თვიდამ, კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბახიდამ ორ თაბახამდე. გარდა ამისა შეძლების და გვარათ ხან და ხან გაზეთთან გამოვა დამატება. ამ დამატებაში იქმნება დაბეჭდილი

სტატიები, რომელთაც დაბეჭდვა სივრცისაგამო გაზეთში არ მოხერხდება.

ფასი მთელის წლის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ ტფილისში 6 მანეთი, გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

„**დროების**“ გამოცემას ვაპირებდით იანვრიდამ, მაგრამ ნება-რთვა ახლა მოგვეცა; ამისთვის ამ თვის მაგიერათ დავნიშნეთ მომავალი მარტი. ფასიც წლევანდლის წლისა არის ნაკლები, ესე იგი: 1867 იანვრამდე გაუგზავნელათ ტფილისში 5 მანეთი, გაგზავნით ტფილისში და სხვა ადგილებში 6 მანეთი.

გაზეთზედ ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, „**დროების**“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზედ, ზუბალოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ უმორჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნილება გამოგზავნონ ხოლმე ამ ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-°.**

რედაქტორი გიორგი წერეთელი.

გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილი.

ტფილისი. 10 იანვარს, 1866 წელსა.

# СЛОВО

## на новый годъ,

### сказанное въ Тифлисскомъ Николаевскомъ Соборѣ Кавказской Арміи, 1 Генваря 1866 г.

---

Съ древнихъ временъ Православная Церковь соединяетъ съ праздникомъ Обрѣзанія Господня празднованіе Новаго года. Оба праздника весьма поучительны и назидательны для душъ вѣрующихъ.

Обрѣзаніе было таинство Ветхозавѣтной Церкви и прообразовало христіанское таинство св. крещенія. Оно совершалось надъ осьмидневными младенцами пола мужескаго—въ знаменіе Ветхаго Завѣта, въ который Богъ вступилъ съ патріархомъ Авраамомъ и со всѣмъ его потомствомъ. Печатію того Завѣта было имя, даваемое младенцу при обрѣзаніи. Христосъ происходя по плоти изъ племени Авраама, принялъ по закону обрѣзанія также въ осьмой день по рожденіи своемъ и нареченъ *Іисусомъ*—тѣмъ именемъ, какое объявлено было пречистой Дѣвѣ Маріи Архангеломъ Гавріиломъ, благовѣстившимъ ей тайну воплощенія Сына Божія.

*Іисусъ* значитъ *Спаситель*; *Христомъ* назвали Его пророки, когда ожидали на землю. Имя *Христосъ*—т. е, *По-*

*мазанникъ* означаетъ тройственное служеніе Его на землѣ: пророческое, первосвященическое и царское.

Въ таинственномъ смыслѣ обрѣзаніе знаменуетъ отсѣченіе страстей, очищеніе сердца, исправленіе поврежденной природы человѣка. Іисусъ Христосъ, какъ безгрѣшный, не имѣлъ нужды въ обрѣзаніи, но исполнилъ ветхій законъ. Поэтому св. Церковь, въ настоящій день, научаетъ насъ постоянному соблюденію закона Божія, внутренней чистотѣ и святости, обрѣзанію нерукотворенному, совлеченію тѣла грѣховнаго плоти,—обрѣзанію Христову (Кол. II—11).

Какъ отрадно звучитъ для слуха и сердца вѣрующихъ имя *Іисусъ*!... Нѣтъ подъ небомъ выше имени, чрезъ которое надлежало бы спастисѧ намъ (Дѣян. IV—12);— чрезъ сіе сладчайшее имя излились и изливаются безчисленныя благословенія Божіи на цѣлыя царства и народы (Мат. 1—12)...

Съ пришествіемъ Спасителя возсіялъ на землѣ свѣтъ жизни и спасенія. Онъ принесъ роду человѣческому совершеннѣйшую Религію, въ которой научилъ людей истинному Боговѣдѣнію. Онъ даровалъ совершеннѣйшій законъ любви къ Богу и ближнему и объяснилъ смыслъ истиннаго покаянія и добрѣтелей, уподобляющихъ человѣка Богу. Онъ оживилъ сердца людей обѣтованіемъ безсмертія воскресенія тѣла и блаженства загробной жизни. Онъ установилъ таинство св. причащенія, для таинственнаго соединенія вѣрующихъ съ Самимъ Собою тѣснѣйшимъ и живымъ союзомъ, въ которомъ они дѣлаются причастниками Его чистѣйшаго и святѣйшаго естества, и чрезъ то заимствуютъ Его благодатную жизнь и силу. Онъ ниспослалъ вѣрующимъ благодать Святаго Духа и въ ней *вся божественныя силы, яже къ животу и благочестію* (2 Петр. 1—3).

Благодать Іисуса Христа, явленная въ искупленіи міра, отверзла всѣмъ дверь къ новой жизни, содѣлала насъ новою и святою тварію (2 Кор. V—17), родомъ избраннымъ, царскимъ священіемъ (1 Петр; II—9);—указала путь ко спасенію и вѣчному блаженству.

Но какъ прискорбно, въ нашъ просвѣщенный вѣкъ, видѣть и слышать нечестивыхъ Саддукеевъ, которые не хотятъ вѣровать въ высочайшую тайну спасительнаго искупленія, отрицаютъ безсмертіе души, глумятся надъ святѣйшими истинами Божественнаго Откровенія, смѣются надъ благотворными уставами св. Церкви, презираютъ смиренныхъ служителей Алтаря Господня! Не есть ли это безобразный и возмутительный духъ Антихриста?!

Осуждая Саддукеевъ нашего времени, посмотримъ, братія, и на себя самихъ. Ахъ, сколько въ насъ нравственнаго безобразія! Мы называемся Христіанами, мы вѣруемъ въ Евангеліе; но *вѣра* безъ добрыхъ *дѣлъ мертва* есть (Іак. 11—20). *И бѣсы вѣруютъ и даже трепещутъ* Бога (Іак. 11—19). Какъ много среди насъ такихъ, которые *мудрствуютъ не горняя*, а *земная* (Кол. III—2); творятъ дѣла тьми, а не дѣла свѣта, правды и спасенія, ходятъ въ похотяхъ лукавыхъ сердецъ и нечистыхъ помышленій, а не въ духѣ святой вѣры и любви Христовой.

Вотъ насталъ Новый годъ; одни изъ насъ встрѣчаютъ его съ радостію и веселіемъ, другіе со слезами скорби и печали; но каждый—побуждается къ воспоминанію о протекшихъ дняхъ своей жизни и къ размышленію о будущей своей участи.

Св. Церковь возноситъ къ Всевышнему Правителю вселенной молитвы объ отпущеніи нашихъ грѣховъ, содѣянныхъ въ минувшее лѣто, и о дарованіи благодати, для обновленія нашей поврежденной природы, для очищенія и спасенія душъ нашихъ.

Новый годъ каждому преподаетъ урокъ испытать свою совѣсть и начатъ жизнь, сообразную съ высшею цѣлію и обязанностями истиннаго члена церкви.

Христіянинъ! войди въ самаго себя, и разсмотри состояніе души твоей.

Если умъ твой зараженъ гордостію, затмевающею свѣтъ истины мракомъ сомнѣній,—сокрушай гордыню ума мечемъ слова Божія и укрѣпляй мысли и духъ въ послушаніи вѣрѣ; если увидишь въ сердцѣ своемъ нечистоту грѣховную, уничтожай ее огнемъ святой ревности; если чувствуешъ въ себѣ волненіе страстей,—обуздывай ихъ руководствомъ закона Божія; еслп воля твоя устремлена ко злу,—направляй ее къ исполненію воли Божіей. Воодушевись пламеннымъ желаніемъ вѣчнаго спасенія; сражайся съ плотію своею; старайся истреблять въ себѣ порчу природы и на мѣсто ветхаго и мрачнаго жилища грѣха устроить новый, благолѣпный храмъ правды и святости Божіей.

Не будемъ, братія моя, безпечны въ дѣлѣ нашего спасенія. Каждый годъ, каждый день, каждый часъ, приближаетъ насъ ко гробу. Кто знаетъ, когда пробьетъ последній роковой часъ его жизни? Скоропостижная смерть не щадитъ ни цвѣтущей юности и красоты, ни крѣпкаго здоровья и силы, ни богатства и великолѣпія.

Долготѣрпеніе Божіе ожидаетъ отъ насъ плодовъ покаянія и исправленія грѣховной природы; начнемъ съ Новаго года обновленіе своей жизни (Рим. IV—1), пока милуетъ насъ Десница Господня. Горе намъ, если, въ сіе новое лѣто, Владыка жизни и смерти всѣхъ сотворенныхъ существъ пресѣчетъ дни жизни нашей, подобно безплодной смоковницѣ, упоминаемой въ Евангеліи. Аминь.

*Протоіерей Стефанъ Гумилевскій.*

# АНТОНІЙ II, ПОСЛѢДНІЙ

# Католикосъ Грузіи.

Въ духовномъ журналѣ „Странникъ“ за мѣсяцъ августъ 1865 года помѣщена небольшая статья о жизни и служебной дѣятельности послѣдняго грузинскаго Католикоса, Антонія II. Она сообщаетъ намъ слѣдующія интересныя свѣдѣнія о лицѣ сего достопамятнаго іерарха грузинской Церкви:

„Въ Нижнемъ Новгородѣ въ Покровскомъ приходѣ, почти четыре года, съ 1824 по 1828 г., проживалъ *послѣдній Католикосъ Грузіи Антоній II*, *третій сынъ* царя Ираклія и царицы Дарьи Георгіевны, урожденной княжны Дадьянъ.

Съ половины XI вѣка въ іерархіи грузинской церкви первенствовали, въ качествѣ патріаршихъ намѣстниковъ, православно-греческаго исповѣданія, священноначальники, съ титуломъ Католикоса, то есть *вселенскаго*, какъ обыкновенно именуются всѣ восточные патріархи.

Отличительными знаками грузинскихъ католикосовъ, по древнему уставу восточной Церкви, были: черный кло-

букъ съ крестомъ напереди и съ двумя пришитыми къ воскриліямъ его серафимами, низанными изъ жемчуга и драгоцѣнныхъ каменьевъ; патріаршій вѣнецъ съ крестомъ и глобусомъ на верху, въ видѣ зубчатой короны, называвшійся короною; на персяхъ крестъ и *двѣ* панагіи и бархатная мантія съ серебряными источниками.

Съ этими аттрибутами своего священнаго сана перешелъ въ подданство Россіи и послѣдній католикосъ карталинскій и кахетинскій, свѣтлѣйшій грузинскій царевичъ Антоній II Ираклiевичъ, родившійся 8 генваря 1762 г.

Онъ родился въ Тифлисѣ, въ тотъ самый день, въ который скончался въ С.-Петербургѣ родной его дѣдъ, царь Теймуразъ, погребенный въ Астрахани. Въ память дѣда и свѣтское имя Католикосу дано было при крещеніи *Теймуразъ*.

Послѣ войны съ турками, желая обезопасить Грузію отъ ихъ будущихъ нападеній и отъ набѣговъ сосѣднихъ ордъ, а главное, чтобы предупредить домогательства на грузинскій престолъ удалившихся въ 1724 году въ Россію потомковъ карталинскаго царя Вахтанга, царь Ираклій рѣшился на всегда подчиниться Россіи и состоять съ народомъ грузинскимъ подъ ея верховнымъ патронатомъ. Договоръ о семъ подписанъ былъ уполномоченными обѣихъ сторонъ 24 іюля 1783 года въ Георгіевской крѣпости; и вслѣдъ затѣмъ отправлено было къ императрицѣ Екатеринѣ II грузинское посольство подъ дирекціею князя Гарсевана Чавчавадзева. Въ этомъ посольствѣ царь Ираклій послалъ въ Петербургъ и двухъ сыновей своихъ царевичей Миріана и Антонія. Изъ нихъ *Миріанъ, четвертый сынъ* царя Ираклія, тогда же вступилъ въ русскую службу и въ 1802 г. имѣлъ уже чинъ генералъ-лейтенанта, а въ 1812 году, въ званіи сенатора, удалился съ сенатскимъ архи-

вомъ изъ сожженной Москвы въ Нижній Новгородъ, гдѣ и прожилъ болѣе года на б. Покровкѣ, въ домѣ принадлежащемъ нынѣ Л. К. Сапожниковой. Царевичъ же Антоній, имѣя отъ роду съ небольшимъ 20 лѣтъ, пріѣхалъ въ Россію, въ 1783 году, уже *монахомъ и іеродіакономъ*, а въ слѣдующемъ 1784 году, по просьбѣ царя Ираклія, въ царскосельской придворной церкви, въ присутствіи Императрицы и Ея высочайшаго двора, былъ хиротонисанъ въ санъ *архіерея*, съ титломъ *Ниноцминдели*. При совершеніи сей церемоніи, Императрица Екатерина II пожаловала ему драгоцѣнную панагію, осыпанную крупными брилліантами, стоившую, и по тогдашнему времени, весьма высокой цѣны. Въ томъ же 1784 году царь Ираклій заочно возвелъ Антонія въ санъ *митрополита Алавердели*, а по возвращеніи его изъ Россіи утвердилъ его *въ 1789 г. Католикосомъ Грузіи*, на мѣсто Католикоса Антонія I, Карталинскаго царевича, скончавшагося 29 февраля 1788 года. Такимъ образомъ еще въ самой цвѣтущей порѣ жизни своей, 25-лѣтній Антоній Иракліевичъ занялъ уже мѣсто и въ исторіи Грузіи, и на святительскимъ ея престолѣ.

Ираклій, потомокъ царей изъ линіи Кахетинской, царствовалъ въ Грузіи 52 года и умеръ 11-го января 1798 года, 84 лѣтъ отъ рожденія, оставивъ престолъ *пятому сыну своему Георгію*, который, чувствуя приближеніе своей кончины, и видя неминуемое разрушеніе отечества, со всѣмъ народомъ своимъ, въ 1800 году, подчинился верховному владычеству Россіи, вслѣдствіе чего, 18 января 1801 года, состоялся высочайшій указъ о присоединеніи Грузіи на вѣчныя времена въ русскимъ владѣніямъ. 10 марта того же года императоръ Павелъ I, получивъ донесеніе, что вся Грузія приняла присягу на подданство Россіи въ знакъ монаршаго благоволенія къ Католикосу Антонію

II, пожаловалъ ему наканунѣ своей кончины, бѣлый клобукъ съ серафимами и бриллiантовымъ крестомъ напереди.

Императоръ Александръ I, манифестомъ 12 сентября 1801 года, окончательно присоединилъ царство грузинское къ имперiи россiйской и чрезъ три дня, 15 сентября, въ день своей коронацiи, сопричислилъ Антонiя II къ ордену св. Александра Невскаго.

Болѣе 20 лѣтъ сряду блаженнѣйшiй католикосъ Антонiй управлялъ православною церковiю въ Грузiи, бывъ тамъ предметомъ всеобщаго уваженiя: ибо народъ грузинскiй съ любовiю смотрѣлъ на своего сановитаго, благолѣпнаго и благодушнаго архипастыря, какъ на послѣднюю отрасль своего стариннаго царскаго рода. Покойно и безмятежно проводилъ дни свои католикосъ Антонiй II подъ благословенными небесами своей родины до 1810 года. Въ этомъ же году митрополитъ Варлаамъ, изъ рода князей Эристовыхъ, поссорилъ его съ тифлисскимъ митрополитомъ Арсенiемъ, и въ вслѣдствiе этой ссоры Антонiй вызванъ былъ въ Россiю, куда и выѣхалъ изъ Тифлиса 3-го ноября, въ началѣ 1811 года прибылъ въ С.-Петербургъ. Императоръ Александръ I принялъ его чрезвычайно милостиво: назначилъ его членомъ святѣйшаго правительствующаго Сунода, подарилъ ему богатую мантiю зеленаго бархата съ скрижалями, украсилъ его орденомъ св. Андрея Первозваннаго и, кромѣ гонорарiя на сей орденъ, пожаловалъ ему ежегодный пенсiонъ въ 54,000 р. ассигнацiями что по тогдашнему курсу составляло довольно значительную сумму.

Но вѣроятно дороговизна жизни въ С.-Петербургѣ, требовавшая тамъ на содержанiе большой свиты весьма значительныхъ издержекъ и вовлекшая Католикоса въ неизбѣжные долги, а можетъ быть и другiя какiя *либо при-*

чины заставили его изъ сѣверной столицы удалиться внутрь Россіи.

Изъ всѣхъ великороссійскихъ губерній предпочелъ онъ избрать мѣстопребываніемъ своимъ нижегородскую, вѣроятно потому болѣе, что здѣсь жили его соотечественники: потомокъ карталинскихъ царей кн. Георгій Александровичъ Грузинскій, вдова князя Леона Грузинскаго, Прасковья Евграфовна, урожденная Татищева, съ своимъ семействомъ, которую называли также княгиней Катунской, по помѣстью ея селу Катункамъ въ балахнинскомъ уѣздѣ, и свойственникъ его по матери князь Николай Александровичъ Дадьянъ. А какъ многіе изъ нихъ были постоянными прихожанами Покровской церкви, то подъ сѣнію этого же храма и царственный святитель пріютился въ число прихожанъ со своимъ штатомъ, состоящимъ изъ однихъ грузинъ, монашествующихъ и бѣльцевъ, и изъ принадлежавшихъ лично ему, выѣхавшихъ съ нимъ изъ Грузіи, дворовыхъ людей, изъ которыхъ иные были съ семействами. Изъ родныхъ находился при немъ родной его племянникъ, дѣйств. ст. совѣтникъ князь Евстафій Давидовичъ Циціановъ, выѣхавшій вмѣстѣ съ нимъ въ 1810 году изъ Грузіи въ Россію, жившій при немъ 17 лѣтъ неотлучно и управлявшій всѣми его домашними дѣлами. При князѣ Циціановѣ также находилось нѣсколько семействъ крѣпостныхъ его людей, взятыхъ имъ изъ Грузіи.

По пріѣздѣ своемъ въ нижегородскую губернію, Католикосъ нѣкоторое время гостилъ въ селѣ Лысковѣ у дѣйствительнаго камергера, князя Г. А. Грузинскаго, бывшаго болѣе 20 лѣтъ сряду нижегородскимъ губернскимъ предводителемъ дворянства, имѣвшаго большое состояніе и жившаго, какъ истинный вельможа прежнихъ временъ,—пышно, открыто, гостепріимно, по княжески.

Изъ Лыскова блаженнѣйшій Католикосъ переѣхалъ въ 1824 году весной на житье въ Нижній-Новгородъ и сначала занималъ домъ, принадлежавшій тогда Рюмину, а нынѣ г. Дашкевичу, почти насупротивъ Покровской церкви; послѣ того жилъ онъ нѣкоторое время на Варварской улицѣ въ домѣ г. Бравина, нынѣ купца Котельникова, что на углу противъ палаты государственныхъ имуществъ, и наконецъ на Ошарской улицѣ, въ деревянномъ домѣ, принадлежавшемъ тогда Ефимьевскому, нынѣ же г. Терскому, гдѣ и скончался. Но Покровская церковь постоянно была молельнымъ храмомъ его святѣйшества; въ ней Харлампіевскій придѣлъ отведенъ былъ грузинамъ для отправленія по воскреснымъ и праздничнымъ днямъ богослуженія на ихъ отечественномъ діалектѣ.

При сихъ богослуженіяхъ почти всегда присутствовалъ Католикосъ, какъ богомолецъ, сидя большею частію, по слабости ногъ, посреди церкви подъ аркой, на высокихъ креслахъ, покрытыхъ бѣлымъ чахломъ. Памятникомъ его пребыванія въ покровскомъ приходѣ осталась принесенная имъ въ даръ церкви небольшая икона Св. Троицы, о которой самъ его святѣйшество свидѣтельствовалъ, что она старинная и чудотворная. Кромѣ того въ метрической книгѣ Покровской церкви записано, что 9-го октября 1824 года былъ онъ воспріемникомъ съ княжною Дарьею Леоновной Грузинской у гвардіи поручика Александра Александровича и супруги его Ольги Леоновны Турчаниновыхъ дочери Варвары.

Самъ Антоній хотя и служилъ иногда въ каѳедральномъ соборѣ и въ новомъ Крестовоздвиженскомъ монастырѣ, но весьма рѣдко. Монахини старушки и до сихъ поръ не забыли еще, какъ парадно пріѣзжалъ бывало къ нимъ блаженнѣйшій Каталикосъ въ своей золотой каретѣ, и какъ

совершалъ онъ у нихъ литургію на грузинскомъ языкѣ, котораго всѣ онѣ не понимали, между тѣмъ какъ сослужащіе его и пѣвчіе отправляли службу по русски. Помнятъ также, что онъ одинъ разъ послѣ литургіи кушалъ въ монастырской трапезѣ, сидя на возвышеніи, вмѣстѣ съ игуменьей Дорофеей Михайловной, въ виду всѣхъ сестеръ, помѣщавшихся за длинными столами у окошекъ.

Когда преоввященный Моисей, въ праздникъ Покрова Пресвятыя Богородицы 1824 г. ѣхавшій служить въ дѣвичій монастырь литургію, былъ на дорогѣ, въ каретѣ пораженъ апоплексическимъ ударомъ, то во время его болѣзни Католикосъ освящалъ антиминсы и посвящалъ всѣхъ ставленниковъ и отпѣвалъ преосвящ. Моисея, скончавшагося 10 января 1825 года. Великолѣпіе этой печальной церемоніи еще болѣе увеличилось участіемъ въ ней греческаго митрополита Агаѳангела, вскорѣ послѣ кончины преосвященнаго Моисея, нечаянно очутившагося въ Нижнемъ вмѣсто гор. Нѣжина. Въ декабрѣ мѣсяцѣ того же 1825 года, по случаю кончины Императора Александра 1-го, Католикосъ, въ небытность епархіальнаго архіерея, два раза приводилъ нижегородскихъ гражданъ къ присягѣ: въ первый разъ ночью—Императору Константину 1-му, въ другой разъ—послѣ вечерни. На эктеніяхъ величали его *блаженнѣйшимъ*, Католикосомъ Карталинскимъ и Кахетинскимъ, а въ разговорахъ и на письмѣ титуловали *святѣйшествомъ*.

Въ свободное время Антоній II любилъ заниматься отечественной литературой, владѣя драгоцѣнной коллекціей грузинскихъ книгъ, духовнаго содержанія, преемственно доставшихся ему послѣ предмѣстника его католикоса Антонія 1-го, который самъ написалъ нѣсколько полезныхъ

сочиненій по учебной части и во всю жизнь свою не щадилъ ничего на пріумноженіе своей грузинской библіотеки.

Многіе нижегородцы самовидцы и до сихъ поръ еще живо помнятъ своего знаменитаго гостя и разсказываютъ, что блаженнѣйшій Католикосъ, несмотря на свои преклонныя лѣта, былъ отмѣнно сановитъ наружностью, что онъ имѣлъ высокій ростъ, лице полное, свѣжее, восточнаго типа, красоты замѣчательной, съ большею окладистою бородою; глубокіе черные глаза его осѣнялись густыми бровями, голова его украшалась бѣлымъ клобукомъ съ бриліантовымъ крестомъ и съ жемчужными херувимами на плечахъ, на груди у него блистали двѣ драгоцѣнныя панагіи и наперсный крестъ съ весьма крупными ярилiантами; золотая цѣпь и звѣзда ордена св. Андрея Первозваннаго, Александровская звѣзда и, среди всѣхъ сихъ первоклассныхъ и цѣнныхъ украшеній, простой бронзовый крестъ въ память отечественной войны 1812 года на Владимірской лентѣ. Всѣ сіи знаки отличія придавали ему величественный видъ. Обращенія его было со всѣми чрезвычайно вѣжливое и благосклонное; манеры его соотвѣтствовали его высокому сану и происхожденію; затрудняясь въ произношенію русскихъ словъ, разговаривалъ онъ большею частію чрезъ переводчика, любилъ образованную бесѣду, принималъ охотно посѣщенія и часто самъ бывалъ въ обществѣ.

Парадные выѣзды свои свѣтлѣйшій царевичъ Антоній дѣлалъ въ падаренной ему Императоромъ Александромъ Павловичемъ золотой каретѣ, принадлежавшей еще Императрицѣ Елисаветѣ Петровнѣ. У этой шестистекольной, французскаго издѣлья, кареты, на пасахъ, кузовъ былъ расписанъ геніями и кирляндами; запрягалась она обыкновенно цугомъ, въ шесть лошедей, съ шорами и страусовыми

перьями на головахъ. Въ незатѣйливомъ губернскомъ городѣ все это было такъ диковинно, такъ необыкновенно, что народъ не могъ на грузинскаго Іерарха довольно наглядѣться и вездѣ сопровождалъ его толпами.

Угасая на хладномъ сѣверѣ, вдали отъ родной своей Грузіи, свѣтлѣйшій царевичъ Антоній скорбѣлъ душею болѣе всего о томъ, что не имѣетъ чѣмъ обезпечить жизнь своихъ присныхъ. Хотя и получалъ онъ отъ казны ежегодный гонорарій въ 54,000 р. асс., но, при высокомъ смиреніи своемъ, не скопилъ для себя ничего, потому что вездѣ и всегда содержалъ въ довольствѣ свой штатъ, много раздавалъ бѣднымъ, помогалъ своимъ соотечественникамъ; самъ же, въ полномъ смыслѣ слова, богатъ былъ одною нищетою, такъ что и похоронить его было нечѣмъ. Поэтому, незадолго до кончины своей, будучи уже не въ силахъ владѣть перомъ, онъ просилъ лично родственника своего кн. Г. А. Грузинскаго походатайствовать у Государя Императора, чтобы выдаваамое служащимъ въ свитѣ его жалованье обращено имъ было въ жизненныя пенсіи по примѣру тому, какъ и прежде бывали награждаемы служившіе въ штатахъ царевичей и царевенъ грузинскихъ.

По докладу объ этомъ оберъ-прокурора святѣйшаго Сѵнода (кн. Мещерскаго), Государь именнымъ указомъ, даннымъ министру финансовъ 18 марта 1828 года, приказалъ заплатить занятые на погребеніе грузинскаго Католикоса 6000 р., отпустить на сооруженіе ему памятника 2500 р., и по желанію покойнаго назначить *пожизненныя пенсіи*—служившимъ при его особѣ лицамъ, а именно кн. Парсадану Циціанову 500 р., духовнику протоіерею Аарону 400 р., священнику Симону 300 р., домоправителю Нацвалову 350 р. *Единовременно:* по 300 р. состоявшему для разныхъ порученій Берзину, дворецкому Кузнецову и

келейнику Черкезеву; по 100 р. монастырскимъ крестьянамъ Суркову, Тулинову и форейтору *Кузнецову*. Изъ нихъ Молодиновъ умеръ въ Покровскомъ приходѣ 42 лѣтъ чахоткою 6 іюля 1828 г., а Берзинъ, называя себя грузинскимъ дворяниномъ и обидѣвшись тѣмъ, что его сравняли съ низшими служителями, отъ всемилостивѣйшей награды отказался.—Іеромонахъ Даніилъ, на котораго вмѣстѣ съ княземъ Евстафіемъ Циціановымъ взведено было обвиненіе въ оскорбленіи Его Императорскаго Величества, получилъ пенсію равную пенсіи свящ. Симона, послѣ другихъ, когда былъ оправданъ по суду въ взведенномъ на него обвиненіи. Католикосъ Антоній II скончался послѣ непродолжительной болѣзни 66 лѣтъ отъ роду, 21 декабря 1827 года, въ 10 часовъ утра, о чемъ въ тоже время генералъ-губернаторъ Бахметевъ исвѣстилъ шефа жандармовъ графа Бенкердорфа, оберъ-прокурора святѣйшаго Сvнода кн. Петра Сергѣевича Мещерскаго и министра внутреннихъ дѣлъ.

Такъ какъ послѣ Католикоса оказалось въ наличности денегъ только 400 р. асс., то князь Г. А. Грузинскій, для отданія ему послѣдняго долга, принужденъ былъ занять 6000 р., о чемъ тогда же извѣстилъ мѣстное начальство и принялъ на себя всѣ похоронныя хлопоты и распоряженія. Съ подобающими высокому сану и достоинству покойнаго Іерарха—царевича почестями тѣло его вынесено 25 декабря изъ дома г. Ефимьевскаго въ Благовѣщенскій соборъ, гдѣ устроенъ былъ великолѣпный катафалкъ подъ короной, и вся внутренность церкви одѣта была глубокимъ трауромъ съ гербами и цвѣтами Грузіи. Со дня кончины до самыхъ похоронъ все духовенство Нижняго Новгорода, поочереди, дежурило день и ночь при тѣлѣ его: священники читали въ головахъ усопшаго евангеліе,

діаконы держали надъ нимъ золотые его дикиріи, а причетники осѣняли золотыми же рипидами. 31 декабря совершено было съ печально-торжественною церемоніею погребеніе сего потомка царей грузинскихъ, отъ корени Давидова, преосвященными епископами — Нижегородскимъ Аѳанасіемъ и Пензенскимъ Иринеемъ, котораго ко дню выноса кн. Грузинскій пригласилъ изъ Пензы эстафетою, по случаю болѣзни преосвященнаго Аѳанасія. Передъ выносомъ гроба изъ Благовѣщенскаго собора, протоіерей сего собора П. И. Лебедевъ произнесъ надъ нимъ прощальную рѣчь. Въ процессіи несли знаки отличія покойнаго и генералъ-губернаторъ Бахметевъ, губернаторъ Храповицкій, губ. предродитель дворянства кн. Грузинскій и всѣ городскія власти шли за гробомъ въ полной парадной формѣ; войска, стоявшія въ строю на Верхнебазарной площади, отдавали знаменитому усопшему царскую почесть. При многочисленномъ стеченіи народа похороны эти были чрезвычайно великолѣпны; но морозъ въ тотъ день былъ столь силенъ, что, говорятъ, птицы мерзли налету и многіе съ печальной церемоніи возвратились домой съ отмороженными членами, хотя переходъ изъ Благовѣщеннскаго собора до приготовленной въ тепломъ каѳедральномъ Скорбященскомъ соборѣ могилы былъ весьма не великъ. Заупокойною литургію совершилъ въ каѳедральномъ соборѣ прносвященныйИриней. Здѣсь также произнесены были рѣчи—ректоромъ семинаніи архимандритомъ Гавріиломъ и протоіереемъ Г. Прудентовымъ. Рѣчи эти не дошли до насъ.

Прахъ Католикоса покоился въ Скорбященскомъ соборѣ около 14 лѣтъ, а 9 сентября 1841 года, по разобраніи сего стараго собора, перенесенъ (1) съ большимъ цер-

1) Въ тоже время перенесенъ въ усыпальницу и гробъ преосвященнаго Моисея; перенесеніе происходило вечеромъ.

02 ...

ковнымъ парадомъ, собственными руками князя Георгія Александровича Грузинскаго, подъ своды новаго, Преображенскаго, каѳедральнаго собора, гдѣ и положенъ въ усыпальницѣ въ нынѣшнемъ алтарѣ Дмитріевскаго придѣла, по правую сторону.

## ХРОНИКА И ИЗВѢСТІЕ.

25-го минувшаго декабря, въ день Рождества Христова, и 1-го генваря сего *новаго* (1866) года, по волѣ Его Императорскаго Высочества Великаго Князя МИХАИЛА НИКОЛАЕВИЧА, Намѣстника Кавказскаго, Высокопреосвященнѣйшій Евсевій, Архіепископъ Экзархъ Грузіи, совершалъ божественную литургію въ храмѣ Тифлисской Д. Семинаріи, при многочисленномъ стеченіи военныхъ и гражданскихъ чиновъ и прочихъ сословій. Послѣ литургіи Его Высокопреосвященствомъ отправлены были установленныя молебствія, въ присутствіи, въ день Р. Христова, Его Императорскаго Высочества Великаго Князя, а въ день новаго года—Ихъ Императорскихъ Высочествъ Великаго Князя и Августѣйшей Его Супруги Великой Княгини ОЛЬГИ ѲЕОДОРОВНЫ, и всѣхъ вышеупомянутыхъ особъ.

— На открывшуюся въ Телавскомъ Духовномъ училищѣ смотрительскую и учительскую вакансію Г. оберъ-прокуроромъ Святѣйшаго Синода опредѣленъ 18-го ноября 1865 года окончившій въ семъ году курсъ наукъ студентъ Кіевской Дух. Академіи, *Павелъ Петропавловъ*.

СОДЕРЖАНІЕ:

I. Слово на новый годъ.
II. Антоній II, послѣдній Каѳоликосъ Грузіи.
III. Хроника и извѣстіе.

ბიბლიოთეკა

ДОЗВОЛЕНО ЦЕНЗУРОЮ.
ТИФЛИСЪ, 28-го января 1866 г.—Печатано въ типографіи МЕЛИКОВА и К°.

# СОДЕРЖАНІЕ

## ГРУЗ. ОТДѢЛА:

I. Жизнь св. равноапостольныя Нины, просвѣтительницы Грузіи (по древнему сказанію), съ предисловіемъ, поясняющимъ текстъ подлинника—*Свящ. Г. Хелидзе.*

II. Слово на новый годъ. *Свящ. В. Зедгинидзе.*

III. Замѣтка о современной грузинской духовной письменности. *Михаила Гургенидзе.*

IV. На праздникъ св. Нины. (Стихотвореніе). *Свящ. І. Хатіева.*

V. Моя ночь. (Стихотв.) *Д. Одишелидзе.*

VI. Гимнъ Богу. (Стихотв.) *Д. Гамбашидзе.*

VII. Объявленіе объ изданіи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

# სტატიები

## იანვრის წიგნისა:

I. ცხოვრება წმ. ნინა ქართუჱლთ განმანათლებლისა, წინასიტყუაობითურთ — მღ. გ. ხელიძისა.
II. სიტყუა დღესა ახლისა წელიწდისასა. მღ. ბეს. ზედგინიძისა.
III. ჩუჱნი დრობის სასულიერო მწერლობაზედ. (მცირე შენიშვნა). მიხეილ გურგენიძისა.
IV. წმიდა ნინას დღესასწაულზედ (ლექსები). მღ. იოელ სატიევისა.
V. ჩემი ღამე. დ. ოდიშელიძისა.
VI. გალობა ღმერთზედ. დ. ლამბაშიძისა.
VII. განცხადება ქართულის გაზეთის „დროების" გამოცემაზედ.

---

რედაკტორი და გამომცემი: მაგისტრი, მღუდელი გიორგი ხელიძე.

---

Редакторъ и издатель: Священникъ, магистръ *Георгій Хелидзе.*

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го января 1866 года.
Цензоръ *I. Сулхановъ.*